# ალია

N113(3043) 24 ივლისი 2014 წ. ფასი 1 ლარი

ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE

## რას ყვება „კაზანტიპის“ ორ ფესტივალში მონაწილე ქართველი



## პეტრე მამრაძე: „ გარიგება შედგა, რომ ხელს მოგიწერ, მაგრამ ჩემს კანდიდატურას ხელი არ მოკიდოო“



# რა ხარვეზებით ჩატარდა ეროვნული გამოცდები?

## სააკაშვილს კიევში „საქართველოს განმათავისუფლებელი შტაბი“ აქვს შექმნილი





# რა დარღვევები აღმოუჩინა აუდიტის სამსახურმა კულტურის მომავალ მინისტრს?

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პოსტზე, მიხეილ გიორგაძის კანდიდატურის წარდგენას, უმცირესობისა და უმრავლესობის წევრები მოწონებით შეხვდნენ. თინა ხიდაშელმა პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას „ძალიან მაგარი“ უწოდა და აღნიშნა, რომ გასულ წლებში გიორგაძის მოღვაწეობა „იყო პრინციპულად სხვა იმისგან, რითაც ჩვენი კულტურის სამინისტრო იყო ხოლმე დაკავებული“. არადა, გიორგაძის საქმიანობა სწორედაც რომ კულტურის სამინისტროსთან იყო დაკავშირებული და თან იმ წლებში, როდესაც მოდიდან გადასული მომღერლების ჩამოყვანაზეც კი ასიათასობით ლარი იხარჯებოდა.

შპს „ისტერნ პრომოუშენის“ 22,5%-ის და შპს „ინტერნეიშენალ ივენთის“ 20%-ის მფლობელი გიორგაძისა და წინა მთავრობის კულტურის მინისტრის, ნიკა რურუას მეგობრობის ამბავი საყოველთაოდ ცნობილია. „ისთერნ პრომოუშენის“ ძირითადი დამკვეთიც სწორედ რურუას უწყება გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის სამსახურმა მათ შორის დადებული არაერთი ხელშეკრულება შეისწავლა და საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ფაქტებიც დააფიქსირა.

„სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოთხოვნილია 1 368,1 ათასი ლარი. მათ შორის დაუსაბუთებლად მოთხოვნილია და სამინისტროს მიერ გადახდილია შპს „ისთერნ პრომოუშენისთვის“ ბათუმის ჯაზფესტივალის ჩასატარებლად 1 104,0 ათასი ლარი. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული არ არის, რომ განხორციელდა თანადაფინანსება და არც ბილეთების რეალიზაციასთან დაკავშირებით არსებობს რაიმე შეთანხმება“, – ნათქვამია 2013 წლის აუდიტის დასკვნაში.

აღნიშნულ ეპიზოდთან დაკავშირებით, შპს „ისთერნ პრომოუშენის“ მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტებით სამინისტროსგან მიღებული თანხის გარდა, ღონისძიების შემოსავალმა შეადგინა 577,5 ათასი ლარი, აქედან სპონსორების თანხა 164,1 ლარი, ბილეთების რეალიზაციით კი 413,4 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ჯაზფესტივალის დაფინანსებისას სამინისტრო არ ფლობდა ინფორმაციას დამატებითი ხარჯების შესახებ და არც ის იცოდა, რა მოგება დარჩა ორგანიზატორს ღონისძიებიდან, რომლის ფაქტობრივი გენერალური სპონსორიც თვითონ იყო.

საინტერესო ფაქტია, რომ მიუხედავად ჯაზფესტივალის ძირითადად სახელმწიფო დაფინანსებისა (სამინისტროს წილი ზემოთ აღნიშნული ღონისძიების დაფინანსებაში შეადგენდა 65%-ს) შპს „ისტერნ პრომოუშენთან“ და შპს „ინთერნეიშენალ ივენთთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით, გენერალურ სპონსორად კანონდარღვევით (არასათანადო რეკლამის საშუალებით) გამოცხადდა „საქართველოს ბანკი“, რომლის წილიც ღონისძიების დაფინანსებაში შეადგენდა 46 ათას ლარს – 2,7%-ს.

2011 წლის 22 მარტს კულტურის სამინისტროსა და „ისტერნ პრომოუშენს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (750 ათასი დოლარი) „ისტერნ პრომოუშენს“ 3 ივლისს ბათუმში კრის ბოტისა და კინგის კონცერტის ორგანიზება დაევალა.

ღონისძიებასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლისას გაირკვა, რომ „ისტერნ პრომოუშენს“ ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული ქვეკონტრაქტორებთან, ამერიკულ კომპანია „crative artists agency“ და ინგლისურ „ambient tours inc“-თან, რომელთა მიხედვითაც სტინგის ჰონორარი შეადგენდა 300 ათას დოლარს გადასახადების გარეშე, ხოლო ბოტის ჰონორარი – 90 ათას დოლარს.

გარდა ამისა, „ისთერნ პრომოუშენს“ უნდა მოეხდინა კონცერტზე დასასწრები ბილეთების რეალიზაცია, დაახლოებით 1500 ცალის, თითოეულის ფასი 250 აშშ დოლარს შეადგენდა. ბილეთების რეალიზაციით შემოსული 375 ათასი დოლარიდან, 100 ათასი დოლარით უნდა გაზრდილიყო ბოტისა და სტინგის ჰონორარები, ხოლო დანარჩენი 275 ათასი უნდა დახარჯულიყო ქველმოქმედებაში.

კულტურის სამინისტრომ „ისთერნ პრომოუშენს“ სარეალიზაციოდ გადასცა არა 1500 ბილეთი, არამედ 200 ცალი ფეხზე დასადგომი და 858 დასაჯდომი ბილეთი, დანარჩენი ბილეთები კი სამინისტრომ პრეზიდენტის ადმინისტრაციას გადაუგზავნა. ამის შედეგად, ბილეთებიდან შემოსულმა თანხამ, შეადგინა 344 ათასი ლარი, ნაცვლად 375 ათასი დოლარისა. შემოსული თანხა საქველმოქმედოდ გადაირიცხა, ხოლო დამატებითი ჰონორარები, ანუ 100 ათასი დოლარი, „ისთერნ პრომოუშენმა“ გადაიხადა არა რეალიზაციიდან შემოსული თანხით, არამედ ჩართო სამინისტროსადმი წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში და ანაზღაურდა ბიუჯეტიდან. ამის შედეგად, ბიუჯეტიდან არაეკონომიურად გაიხარჯა 227,9 ათასი ლარი.

EASTERN PROMOTION

კულტურის სამინისტროსა და „ისტერნ პრომოუშენს“ შორის 2011 წლის 1-ელ ნოემბერს და 6 დეკემბერს გაფორმდა ორი ხელშეკრულება, 1 735 ათას და 761 ათას დოლარზე. კომპანიას 31 დეკემბერს, ბათუმში, საახალწლო კონცერტის ორგანიზება და ხულიო ეგლესიასის ჩამოყვანა დაევალა.

სამინისტრომ ღონისძიების ორგანიზებაში 4 134,3 ათასი ლარი გადაიხადა. ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ „ისტერნ პრომოუშენს“ 110-ათას დოლარიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული ამერიკელ არტისტ კეროლინ კემპბელთან, აქედან 50 ათასი მოთხოვნილი იყო უშუალოდ კონცერტში მონაწილეობისთვის, ხოლო 50 ათასი წარმოადგენდა დავალიანებას, რომელიც ხელშეკრულებაში დაკონკრეტებული არ იყო. 10 ათასი კი იყო კრის ბოტის მიმართ ვალდებულების გამოსასყიდი, რაც ასევე არ იყო დეტალურად განმარტებული.

პასუხისმგებელი პირების გამოკითხვით და საბუღალტრო დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ ზემოხსენებული დავალიანება – 50 ათასი დოლარი სამინისტროს არ ერიცხებოდა, მისი წარმოშობისა და ვალდებული სუბიექტის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვებოდა, ინფორმაციას არ ფლობდნენ არც შპს „ისთერნ პრომოუშენის“ პასუხისმგებელი პირები. შედეგად სამინისტრომ ზედმეტად გადაიხადა არარსებული დავალიანება 115,9 ათასი ლარი დანარიცხების გათვალისწინებით. ასევე, გაირკვა, რომ ზემოხსენებული კონცერტის ორგანიზებისთვის, ბიუჯეტმა გაიღო ზედმეტი ხარჯი შპს „ჰორიზონ ტვ სტუდიისთვის“, რომლის 100% წილის მფლობელი პროდიუსერი დავით გერსამიაა.

კანონმდებლობის მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებული იყო, ღონისძიების ტრანსლირება უზრუნველეყო, თუმცა ამის მიუხედავად, „ისთერნ პრომოუშენმა“ ვიდეოგადაღების მიზნით, კერძო შპს-ს ხელშეკრულება 75 ათას ლარზე გაუფორმა.

საინტერესო ფაქტია, რომ „ჰორიზონ ტვ სტუდიამ“ გადაღება საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექპერსონალისა და მოძრავი სატელევიზიო სადგურის გამოყენებით განახორციელა.

ზემოხსენებული ფაქტები სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასულ წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შემოწმების დროს აღმოაჩინა. (გურიანიუსი)

**გიორგაძე გავრცელებულ ინფორმაციას ესმაურება და აცხადებს: „საქმე ეხება ბილეთების განაწილებას, ჯაზ-ფესტივალი იყო ნახსენები და ის არ არის დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ. იქ მხოლოდ თანადაფინანსებაზეა საუბარი. საბუთებისა და შესრულებული სამუშაოს მხრივ ერთ-ერთი სამაგალითო კომპანიაა, მით უმეტეს, როდესაც თანადაფინანსებაზეა საუბარი და სახელმწიფოსთან და ბიუჯეტთან ურთიერთობაზე. გარდა ამისა, არაერთი შემოწმება გაიარა კომპანიამ და არანაირი პრეტენზია შესაბამის ორგანოებს არც ერთ დონეზე და არც ერთ საკითხზე არ გამოუთქვამთ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მინდა ვუთხრა ივანიშვილს, რომ მწარედ ინანებს“



თავდაცვის ექსმინისტრი ბაჩო ახალაია საქართველოში უცხოელი პროკურორების ჩამოსვლის ფაქტს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ეხმაურება. როგორც ახალაია წერს, პროკურორების ჩამოსვლა ემსახურება სააკაშვილისთვის სისხლის სამართლებრივი დევნით საქართველოში ჩამოსვლის შეზღუდვას.

„მინდა გამოვეხმაურო საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, რომელიც უცხოელი პროკურორების საქართველოში ჩამოყვანას ეხება. გასაგებია ივანიშვილის მცდელობა, შეასრულოს პუტინის დავალება და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს სისხლის სამართლებრივი დევნით შეუზღუდოს საქართველოში ჩამოსვლის საშუალება. სწორედ ამიტომ საქვეყნოდ მინდა ვუთხრა ივანიშვილს ძალიან მარტივად და გასაგებად, ვაძლევ გარანტიას თუ ასეთ ავანტიურას გაბედავს მწარედ ინანებს, ის ასეთი ქცევით საკუთარ თავს გამოუტანს განაჩენს. სჯობია შეიგნოს რომ წითელი ხაზი უკვე დიდი ხნის გადაკვეთილი აქვს, გაგრძელებას კი ნამდვილად არ ვურჩევ. მისთვისვე სჯობია, შეწყვიტოს მცდელობები ქართული სახელმწიფოს განადგურებისა!“, – წერს ახალაია. (ნიუპოსტი)

## „უგულავამ პასუხი უნდა აგოს მთელი სიმკაცრით“



საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი გიორგი მარგველაშვილის იმ განცხადებას გამოეხმაურა, სადაც პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით არასწორია, როდესაც ხელისუფლება მორატორიუმს აცხადებს და ამ მორატორიუმის დროს ოპოზიციის ლიდერს გიგი უგულავას აკავებს.

„ვთვლი, რომ ეს კარგი ნაბიჯი იყო და ძალიან ბევრ რამეში საარჩევნო გარემო გაუმჯობესდა, თუმცა მერე, თუკი ვინმემ, სახელად უგულავამ, დაიწყო ცრუმოძრაობები და დღე ერთი იყო და ორჯერ იმყოფებოდა აეროპორტში და ცდილობდა ქვეყნიდან მიმალვას, რა თქმა უნდა, აქ უკვე მორატორიუმი ვერ იმოქმედებდა, მორატორიუმი არ იყო იმუნიტეტი, ამიტომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღეს ის გადაწყვეტილება რაც მიიღეს, მე ამ გადაწყვეტილებას მხარს ვუჭერ და ვთვლი, რომ უგულავამ პასუხი უნდა აგოს მთელი სიმკაცრით“, – განაცხადა წულუკიანმა. (ნიუპოსტი)



## გარემოს დაცვის მინისტრის ყველა მოადგილეს უფლებამოსილება შეუჩერდა

პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, გარემოს დაცვის მინისტრის ყველა მოადგილეს უფლებამოსილება შეუჩერდა.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შეუწყდეთ უფლებამოსილება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს 2014 წლის 21 ივლისიდან“, – ნათქვამია ბრძანებაში. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



საკაშვილ-კუბლაშვილის ე.წ. სასამართლო გადაწყვეტილებებმა ჩვენთვის ფარსად, ტაკიმასხრობად აქცია სამართლიანობის პროცესი. როგორი მართალიც არ უნდა იყო, სასამართლო სპექტაკლებში მონაწილეობის შედეგი ისევ უსამართლობა იქნება, აზრს კარგავს ამ ჯამბაზობაში, თუ უარესი არა – აღვირახსნილ, უზნეო, ამორალურ შურისმაძიებელ სპექტაკლებში მონაწილეობა. გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, პროტესტის ნიშნად, აცილებას აძლევენ სასამართლო ხელისუფლებას და არანაირ მონაწილეობას აღარ მიიღებენ საკაშვილ-კუბლაშვილის უზნეო, უსამართლო ე.წ. სასამართლო პროცესში, სანამ სასამართლო სისტემა არ შეიცვლება და არ გაიწმინდება უზნეო მონა მოსამართლეებისგან, რადგან ახლა აზრი არ აქვს, რა მტკიცებულებებს დადებ და ვის წარადგენ მოწმეებად პროცესზე. „ოცნების“ ხელისუფლება საზოგადოებას დაჰპირდა, რომ არჩევნების შემდეგ დაამთავრებდა „ნაცმოძრაობას“. დაიწყეთ ეს ბოროტების იმ ბუდიდან, რომელსაც „ნაციონალი“ საკაშვილ-კუბლაშვილის სასამართლო ჰქვია.

„ალია“-„ქრონიკა“



ლაპარაკი საერთოდ დამთავრდა, სხვები გაქცეულები არიან. ამ ფონზე, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ სწორად გადადგეს ნაბიჯი, რომ მოიწვიეს ეს სახელგანთქმული პროკურორები. მათ შორის ისეთებიც არიან, რომელთაც მსოფლიოში გახმაურებული საქმეები წაუყვანიათ, მე როგორც ვიცი, ყოფილი პოლიტიკური პირების მიმართაც. ეს ემსახურება ასეთ რამეს: ჯერ ერთი, ხელისუფლება ეცდება, აჩვენოს, რომ პროკურატურას აქვს მასალები შეგროვებული ზეწოლააო, სწორედ ამის გასაბათილებლად მოიწვიეს ეს პროკურორები.

**— როცა ამბობთ, საკაშვილს არ დაიჭერენო, აქვე გკითხავთ, თუ მას დაუმტკიცებენ, რომ სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი, კითხვების ნიშნები მოიხსნება და დასავლეთთან რა პრობლემები გვექნება?**

– ახლა მათ უნდა დაამტკიცონ ეს, რადგან „ქოცების“ რეიტინგი ყოველდღე ეცემა, არჩევნებზეც ხალხმა მათ სილა გააწნა და გააფრთხილა თავისი პროტესტით, თქვენი მანდატის ლეგიტიმურობა თავდებაო. ამ ფონზე, შეიძლება საქმე აღძრა, მაგრამ სად საქმის აღძვრა და სად - დაპატიმრება. ასე კეზერაშ-

**„სწორად გადადგეს ნაბიჯი, რომ მოიწვიეს ეს სახელგანთქმული პროკურორები... ეს ემსახურება ასეთ რამეს: ჯერ ერთი, ხელისუფლება ეცდება, აჩვენოს, რომ პროკურატურას აქვს მასალები შეგროვებული იმაზე, რომ კონკრეტულ დანაშაულს, რომელიც ამ პირების მიერ არის ჩადენილი, არანაირი საერთო არ აქვს ამ ადამიანების პოლიტიკურ დევნასთან“**

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

# პეტრე მამრაძე: „ გარიგება შედგა, რომ ხელს მოგიწერ, მაგრამ ჩემს კანდიდატურას ხელი არ მოკიდოთ“



**რა პრინციპით აარჩია ახალი მინისტრთა კაბინეტი პრემიერმა და რატომ დატოვა კაბინეტში ადამიანები, ვის მოხსნასაც საზოგადოება ელოდებოდა? ვისი ზურგი აქვთ „ნაციონალებს“ და რატომ ჩააყენეს უმრავლესობა „ბოდიშის“ მდგომარეობაში?**

„ალიას“ **პეტრე მამრაძე** ესაუბრა:

**„ამ მინისტრებმა ჩვენი ჯიბეებიდან აიღეს ეს კოლოსალური პრემიები და როგორც თვითონ გვიმტკიცებდნენ, ღამეებს ათენებდნენ მუშაობაში და დამსახურებულადაც იღებდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ გაწეული სამსახურისთვის არავის არ ხსნიან“**

**— ბატონო პეტრე, ექსპერტების ნაწილი უცხოელი პროკურორების ჩამოყვანას, საკაშვილის დაპატიმრებისთვის მზადებას უკავშირებენ. როგორც ჩანს, ჩვენი სამართალდამცავები ამ საქმეს ვერართმევენ თავს. პირად საუბარში მითხარით, რომ მიშას არ დაიჭერენ. რატომ ფიქრობთ ასე?**

– არ დაიჭერენ საკაშვილს. ყველას გვახსოვს ლევან ბერძენიშვილისა და სხვების რიტორიკა, რომ თურმე „ქოცები“ კი არა, საქართველოა არჩევანის წინაშე, რომ ან დავიჭერთ მიშას და მაშინ ჩაიკეტება ჩვენთვის გზა დასავლეთისკენ, რომელთანაც უნდა დავივიწყოთ ევროინტეგრაცია, ან არ დავიჭერთ მას და ეს იქნება ის ფაქტორი, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად უზრუნველყოფს ჩვენს ევროინტეგრაციასო. ამას დაამატა, რა ვქნათ, საკაშვილის რეიტინგი უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოსიო.

**— ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ უცხოელი პროკურორები გახმაურებული საქმეების გამოძიებას გაუწევენ ზედამხედველობას. ცოტა გახმაურებულ დანაშაულშია საკაშვილი გარეული? თან ხალხი ითხოვს საკაშვილის გასამართლებას.**

– დიახ, არა მხოლოდ საკაშვილის დაჭერა სურს ხალხს, არამედ სხვებისაც, კეზერაშვილის ექსტრადიციაც კი ვერ მოახერხეს, ადეიშვილზე იმაზე, რომ კონკრეტულ დანაშაულს, რომელიც ამ პირების მიერ არის ჩადენილი, არანაირი საერთო არ აქვს ამ ადამიანების პოლიტიკურ დევნასთან. ანუ ის, რაც დასავლეთში ხდება რეგულარულად, არის ჩვეულებრივი მოვლენა. გავიხსენოთ ისრაელის ყოფილი პრეზიდენტის დაჭერა, შირაქი გასამართლებულია, ბერლუსკონის მიესაჯა, სარკოზი დაკავებული იყო, ხორვატიის პრემიერ მინისტრს 9 წელი მიესაჯა და ა.შ. ხელისუფლება ყველგან და ყოველთვის მაცდურია, ამიტომ ის უბიძგებს ადამიანებს ძალაუფლების გადაჭარბებისკენ. ესენი კი, როგორც კი ხელს მოკიდებენ, მაშინვე ყვირიან, პოლიტიკური

**„ყველაზე დიდი, რასაც ველოდები ამ პროცესებისგან, არის ის, რომ მაქსიმუმ საქმეს აღძრავენ საკაშვილის წინააღმდეგ. სხვა მხრივ „ქოცების“ უნიათობა მეტს ვერ შეძლებს. მოწმის სახით უკვე დაბარებული იყო, ახლა საქმეს აღძრავენ, მაგრამ ექსტრადიცია და გასამართლება არ მოხდება“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მინისტრი სანიკიძე, პრემიერ-მინისტრსა და მთელს მთავრობას ატყუებს“




პროფესიული განათლების პროფკავშირების თავმჯდომარე, დენის დავითაშვილი თვლის, რომ სამინისტროს საქმიანობა არათუ წინ, არამედ უკან, საკაშვილისა და შაშკინის დროინდელ ხანაში დაბრუნდა.

„ორი წლის განმავლობაში, განათლების სამინისტრომ ძლივს შეძლო, რომ ორჯერ შემდგარიყო პროფესიული საბჭოს სხდომა. რატომ ძლივს? იმიტომ, რომ კვორუმი არ იყო, რადგან მე-14 ადამიანი არ იყო და ქალბატონი მინისტრისთვის უნდა ეთხოვათ დასწრება. არა და კვარტალში 8 შეხვედრა უნდა ჩატარებულიყო... სამინისტრომ, წლის ბოლოს შეიმუშავა სტრატეგია პროფესიული განათლების შესახებ. გასულ კვირაში მთავრობის სხდომაზე, ერთი-ერთში გამოიტანეს ის სტრატეგია, რომელიც დამტკიცებული იყო შარშან 20 დეკემბერს. სტრატეგია 59 ისეთ ღონისძიებას მოიცავდა, რომელიც დღესაც არ არის დაწყებული და შესრულებული.

2014 წლის სტრატეგიაში, 63 ღონისძიებაა და იმ მოწონებულ სტრატეგიაში წერია, რომ 2013 წლის სტრატეგია დასრულდა და 2014 წლის სტრატეგია დასრულების სტადიაშია. ამ დროს, სტრატეგია არასრულყოფილია, ნახევრად ბლეფია. მისი წამკითხავი არავინ არაა მთავრობაში და ასე ატყუებს პრემიერ-მინისტრს და მთელ მთავრობას სანიკიძე“. – განაცხადა დავითაშვილმა. (რეპორტიორი)

## „ევროპელებს რუსეთის წინააღმდეგ იარაღზე ეფექტური ბერკეტების გამოყენება შეუძლიათ“



საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ საკაშვილი „ბოინგ 777“-ის კატასტროფაზე პასუხისმგებლობას რუსეთს აკისრებს. ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-თან საუბარში საკაშვილმა პარალელები გაავლო საქართველოსა და უკრაინას შორის. მან იმ ქმედებებზე ისაუბრა, რაც დასავლეთმა რუსეთის პრეზიდენტის შესაჩერებლად უნდა გააკეთოს.

„ეს ოპერაცია პუტინის დაგეგმილია და მას თავად ხელმძღვანელობს. რა თქმა უნდა, რუსებს თვითმფრინავის ჩამოგდებასთან პირდაპირი კავშირი აქვთ. წარმოუდგენელია, რომ ამ სისტემას არეოდა სამხედრო თვითმფრინავი სამოქალაქო თვითმფრინავში, რადგან სამხედრო თვითმფრინავები ზომით შედარებით პატარაა. გარდა ამისა, ეს სარაკეტო სისტემები სიზუსტით გამოირჩევა. ერთი რამ უდავოა, რუსეთის სამეთაუროს პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება. ახლა ევროპელებმა უნდა იმოქმედონ, რაც უფრო დააგვიანებენ საფასურიც უფრო გაიზრდება. მათ, რომ შეეჩერებინათ რუსეთი საქართველოში, ყირიმიც აღარ იქნებოდა... რომ გაეჩერებინათ რუსეთი ყირიმში, აღარ იქნებოდა აღმოსავლეთ უკრაინაში ის, რაც იქ ხდება. ზომები თუ არ მიიღეს, ეს ყველაფერი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზეც გაგრძელდება. ევროპელებს შეუძლიათ რაკეტებსა და იარაღზე ეფექტური ბერკეტების გამოყენება. მათ უარი უნდა თქვან რუსული ნავთობის შეძენაზე... ეს კონფლიქტი თავისით არ შეჩერდება, ეს ვიღაცამ უნდა გააჩეროს“, – განაცხადა საკაშვილმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


*მესამე გვერდიდან*

ვილის მიმართაც არის საქმე აღძრული და ამბობდნენ, რომ უფრო დიდი უსუსურობა, რაც პროკურორის წარმომადგენლის მხრიდან მოდიოდა პროცესის დროს, წარმოუდგენელი იყო. ამიტომ ყველაზე დიდი, რასაც ამ პროცესებისგან ველოდები, არის ის, რომ მაქსიმუმ საქმეს აღძრავენ სააკაშვილის წინააღმდეგ. სხვა მხრივ, „ქოცების“ უნიათობა მეტს ვერ შეძლებს. მოწმის სახით უკვე დაბარებული იყო, ახლა საქმეს აღძრავენ, მაგრამ ექსტრადიცია და გასამართლება არ მოხდება. სააკაშვილს კი არა, კეზერაშვილს, თოფურიძესა და ახალაიას არავინ ახლო ხელი. ამ პროკურორების ვიზიტს აქვს მიზანი, რომ მოხდეს გამჭვირვალობის დემონსტრირება, არა იმიტომ, რომ ვინმეს დასამალი აქვს რამე, არამედ პირიქით, არის თუ არა საკმარისი საფუძველი სააკაშვილის წინააღმდეგ. მოკლედ, ეს დადებითი მომენტია, მაგრამ კბილაშვილის დროს რომ მოეწვიათ, კიდევ უკეთესი იქნებოდა. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, 2012 წლის არჩევნების შემდეგ „ოცნებას“ რომ გამოეჩინა პოლიტიკური ნება, ქვეყანაში ყოფილიყო კანონის უზენაესობა და სამართალდამცავებს ემუშავათ სხვა შტოებისგან დამოუკიდებლად, მაშინ საქმე აუცილებლად აღიძვრებოდა. მაგალითად, გეტყვით, პრესა გამუდმებით წერდა, რომ სააკაშვილმა დახარჯა თანხები ბიუჯეტიდან, საკუთარი ვაჟების სწავლის დასაფინანსებლად, ფავორიტი ქალებისთვის სამკაულების შესაძენად და ა.შ. საქმე არ აღიძრა, გადის წელიწადი და ამ საქმეზე იბარებენ მოწმის სახით. არადა, აშკარად მთავარი ფიგურანტი უნდა ყოფილიყო. მაშინ აღეძრათ, სანამ პრეზიდენტი იყო, მხოლოდ მისი კი არა, უამრავი ხელმოწერა იყო იმ გადარიცხვის ფურცელზე. მე კანცელარიაში ვმუშაობდი და კარგად ვიცი, როგორ ირიცხება თანხები ბიუჯეტიდან, რა ხელმოწერებია საჭირო. როცა გამოქვეყნდა დოკუმენტები, უშიშროების საბჭოს აპარატიდან ამხელა თანხები რომ გამოიყო ლობისტურ კომპანიებზე, ეს რატომ არ იქნა გამოძიებული? ლობისტურ კომპანიებთან უშიშროების მდივანს რა საქმე ჰქონდა? ბოკერიამ რომ ნაღდი ფული წაიღო, ეს რატომ არ გამოიძიეს?

**— ხელისუფლება ხომ არ ცდილობს ამ გახმაურებულ საქმეებზე აჟიოტაჟის ატეხით დროის გაყვანას, რადგან მას ჩვენი ხმები ისევ დასჭირდება მომავალ არჩევნებზე?**

– ეს არის პიარაქცია, რომლის დადებითი ისაა, რომ ყვირილი პოლიტიკურ დევნაზე უნდა დასრულდეს და ამისთვის სჭირდებათ დამტკიცება საკუთარი გადაწყვეტილების, რომელსაც განამტკიცებენ უცხოელი პროკურორები. როცა ლაფანყურის ოპერაციას არ იძიებ და ყოფილ მერს ხელს კიდებ, მაშინ არც უნდა გიკვირდეს, რომ თუნდაც ფეხებამდე დანაშაულში იყოს ჩაფლული, ადამიანებს მაინც უტოვებ წარმოდგენას, რომ არ არის ეს მართლმსაჯულება. ეს არის წვეთწვეთად წყლის გამოშვება ონკანიდან, როცა გინდა, მაშინ რომ ხსნი ონკანს. თორემ უგულავა შარშან რომ დაეპატიმრებინათ, ეს არავის გაუკვირდებოდა თბილისში, რადგან ყველამ კარგად იცოდა თბილისის მერიაში დარღვევების შესახებ. გამოაცხადეს მორატორიუმი, რომელიც ჩემი აზრით, მარაზმი იყო, რადგან კონსტიტუციის 44-ე მუხლის დროებითი გაჩერების ტოლფასია, ასეთ დროს აპატიმრებენ ყოფილ მერს. როცა სასამართლო აძლევს უგულავას ქვეყნიდან გასვლის უფლებას, მერე აკავებენ. არ მოჰყვებოდა ამას ყვირილი? ან მერაბიშვილის ციხიდან გაყვანა არ გამჟღავნდებოდა?



„ღარიბაშვილი მოერიდა პოლიტიკური ძალების გაღიზიანებას, მაგრამ შიგნიდან გამოვიდა ინფორმაცია, რომ ღარიბაშვილი ითხოვს მინისტრებისგან სრულ მორჩილებას და მიიღებენ თუ არა რაიმე ბრძანებას, შეასრულონ ულაპარაკოდ და სწრაფად“

**— ბატონო პეტრე, პრემიერმა ახალი მინისტრები წარადგინა, უფრო ეფექტურად იმუშავებენო. ზოგიერთებმა თქვეს, „უპატრონო“ მინისტრები გაუშვა ღარიბაშვილმაო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– ჩემთვის ეს ყველაფერი კარგად გასაგები იყო. ამ დროის განმავლობაში სამინისტროებთან კარგი კონტაქტი მქონდა, სადაც არაერთი პატიოსანი ადამიანი მუშაობდა. მართლაც თვალშისაცემია, რომ არსად მოკიდეს ხელი მინისტრს, რომლის უკანაც კოალიციაში შემავალი რაიმე პოლიტიკური ძალა იდგა. უფრო მეტიც, განათლების მინისტრს არ შეეხნენ. სანიკიძე მარგველაშვილის პროტეჟე იყო, რომლის უკანაც არავინ დგას, მაგრამ პირადად ივანიშვილის შერჩეული კადრი იყო. სწორედ პრეზიდენტი წარადგენს პარლამენტში მინისტრებს, ამიტომ აქ გარიგება შედგა, რომ ხელს მოგიწერ, მაგრამ ჩემს კანდიდატურას ხელი არ მოკიდოო. არაერთი ჩემი ახლობლისგან მომისმენია, რომელიც განათლების სამინისტროსთან კონტაქტშია, რომ სანიკიძის განთავისუფლების მოლოდინი იყო, რადგან ის არ ფლობდა პროფესიონალისთვის საჭირო თვისებებს. ჭიკაიძე საერთოდ ოდიშვილის მუდმივ საქილიკო თემად იქცა, რა ხდება ეკონომიკაში, ესეც ყველასთვის ცნობილია, სად არის სასიკეთო ძვრა საერთოდ? შესაბამისად, ხადურიც. ღარიბაშვილი მოერიდა პოლიტიკური ძალების გაღიზიანებას, მაგრამ შიგნიდან გამოვიდა ინფორმაცია, რომ ღარიბაშვილი ითხოვს მინისტრებისგან სრულ მორჩილებას და მიიღებენ თუ არა რაიმე ბრძანებას, შეასრულონ ულაპარაკოდ და სწრაფად. ეს არ არის დემოკრატიული მმართველობა და არც კანონითაა განსაზღვრული, თუ როგორ უნდა იმუშაოს მინისტრთა კაბინეტმა. გავიხსენოთ ხათუნა გოგალაძე, რომელიც სპეციალისტია და ვერ დაუკარგავ, მაგრამ, როგორც კი ნარჩენების შესახებ კანონპროექტი იხილებოდა პარლამენტში, რაც სააკაშვილის დროსაც აკრძალული იყო, აღმოჩნდა, რომ საქართველო მისთვის ასეთ ძვირფას ვალუტას ხარჯავს ნარჩენების შემოტანაზე. ამიტომ ვამბობ, რომ ყველა მინისტრი სრული მორჩილების ნიშნით დაინიშნა. როგორც ნარმანია შეარჩიეს მერად, ამ ნიშნით და ყველა ბრძანებას დაემორჩილება, რასაც პრემიერი იტყვის, ამიტომაა, რომ საინტერესო პიროვნებები კი არ არიან, არამედ სისტემა. ნაცვლად სტრუქტურის ოპტიმიზაციისა, ასეთ ფაქტებს ვხედავთ. ჩვენნაირი ქვეყნისთვის 20 მინისტრი საჭირო არაა, 14-იც საკმარისია, მაგრამ ხელს არ კიდებენ, რადგან აწყობთ ეს სავარძლები თავის ხელფასიან-პრემიებიანად.



„პრეზიდენტი წარადგენს პარლამენტში მინისტრებს, ამიტომ აქ გარიგება შედგა, რომ ხელს მოგიწერ, მაგრამ ჩემს კანდიდატურას ხელი არ მოკიდოო. არაერთი ჩემი ახლობლისგან მომისმენია, რომელიც განათლების სამინისტროსთან კონტაქტშია, რომ სანიკიძის განთავისუფლების მოლოდინი იყო, რადგან ის არ ფლობდა პროფესიონალისთვის საჭირო თვისებებს“

**— ამის ფონზე „ნაციონალები“ დიდ ჰონორზე არიან, თითქოს მხარდაჭერასა და ზურგს გრძნობენო. ვისგან იგრძნობენ, როცა თავად სააკაშვილია დასაჭერთა სიაში?**

– ყველაზე დიდი ზურგი „ნაციონალებისთვის“ არის „ქართული ოცნება“. მისი უნიათობა, არაპროფესიონალიზმი, დაყოფა და ეკლექტიზმი. კიდევ ის, რომ შიგნით ადამიანები ერთმანეთს ვერ იტანენ, არის საფუძველი იმისა, რომ მათ ზურგი მიეცათ. „რემენას“ ტესტს რომ ვერ გაივლის ხელისუფლება და ოპონენტთან ფრთები ეკეცება, არ იცის, რა უპასუხოს, უკვე პრობლემაა. მას კი ისღა დარჩენია მერე, მოუწოდოს ოპოზიციას, ნუღარ საუბრობთ ამ თემაზეო. როცა ამ თემაზე არ გაქვს პასუხი, ძალიან რთულია, სხვა თემებზე გასცე პასუხი ოპონენტს.

„ყველაზე დიდი ზურგი „ნაციონალებისთვის“ არის „ქართული ოცნება“. მისი უნიათობა, არაპროფესიონალიზმი, დაყოფა და ეკლექტიზმი. კიდევ ის, რომ შიგნით ადამიანები ერთმანეთს ვერ იტანენ, არის საფუძველი იმისა, რომ მათ ზურგი მიეცათ. „რემენას“ ტესტს რომ ვერ გაივლის ხელისუფლება და ოპონენტთან ფრთები ეკეცება, არ იცის, რა უპასუხოს, უკვე პრობლემაა“

**— „ბოინგის“ ჩამოგდებასთან დაკავშირებით რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი რეზოლუციის ტექსტის მიღება მოითხოვეს „ნაციონალებმა“. როცა რუსეთის გაღიზიანება არ უნდოდათ, არც თავად იღებდნენ მსგავს რეზოლუციებს. კარგად იცნობთ „ნაციონალებს“ და რისი ჩვენება უნდოდათ ამით, ხელისუფლება მშიშარააო, თუ რუსეთთან შეკრულიო.**

– ესენი არიან წვრილი პროვოკატორები. მოგეხსენებათ, სააკაშვილმა შეასრულა პუტინის ყველა დავალება. ამერიკელი პოლიტოლოგები მეუბნებოდნენ ამას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ. რუსებთან შეგნებულად შეგდებული იყო ბიძამისი და უამრავი ვინმე იყო შეუგნებლად. ახლა ამათ უნდათ, ხელისუფლებამ ისეთი რამ მოიმოქმედოს, რომ მერე იყვირონ, აი, ხომ ხედავთ, ესენი ცდილობდნენ რუსეთის გულის მოგებასო. მათ ასევე უნდათ, რომ წაუგებელი თამაში ითამაშონ და აქვთ კომპლექსი, რომ დაამტკიცონ, თითქოსდა საქართველოს ხელისუფლება მეხუთე კოლონაა. რის ფონზე ახერხებენ ამას? მხოლოდ იმით, რომ თავის დროზე „ოცნებამ“ არ მისცა ზუსტი პოლიტიკური შეფასება სააკაშვილისა და მისი ხროვის მოქმედებას. როცა სააკაშვილს ეტყოდნენ, რომ არის მოღალატე და შესაბამის გამოძიებას დაიწყებდნენ, დღეს არ მოუწევდა გია ვოლსკის თავის მართლება. შეტევაზე მაშინ არის ხალხის მტერი, როცა გაალალებ, სამწუხაროდ, „ქოცებმა“ გაალალეს „ნაცები“.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თავდაცვის სამინისტროს მანქანამ ქალი გაიტანა




აეროპორტის გზაზე ავტოავარია მოხდა, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. ავტომანქანა ქვეითად მოსიარულე შუახნის ქალს დაეჯახა, რომელიც გზატკეცილზე გადადიოდა. ქალი ადგილზე გარდაიცვალა. თავდაცვის სამინისტროში ადასტურებენ, რომ ქვეითად მოსიარულეს სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანა დაეჯახა. თავდაცვის უწყების განცხადებით, სამინისტროს საინჟინრო ბრიგადის ავტომანქანა ვაზიანის ბაზაზე მიდიოდა, როდესაც ავტოავარია მოხდა.

სამინისტროს ინფორმაციით, უკვე დადგენილია, რომ ავტომანქანა მოძრაობდა 80 კმ/სთ სიჩქარით. საქმეს სამხედრო პოლიცია იძიებს. (ინტერპრესნიუსი)

## „მერიის სამსახურები მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ“

თბილისის მერიაში მთავრობის სხდომაზე მერის მოვალეობის შემსრულებელმა პაპუნა პეტრიაშვილმა განაცხადა, რომ მერიის სამსახურები მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ, შესაბამისად, მოსახლეობას შეუფერხებლად ემსახურებიან. მისივე თქმით, მსგავს რეჟიმში მუშაობას ორ აგვისტომდე გააგრძელებენ. (რეპორტიორი)





## 25 ივლისს ურეკისა და აჭარის მოსახლეობას გაზის მიწოდება შეუწყდება

„საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ განცხადებით, 25 ივლისს სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო ლაითურის, ურეკისა და აჭარის მომხმარებლებს გაზის მიწოდება შეუწყდებათ.

„ქუთაისი-სოხუმის მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოებაზე მდინარე ნატანების გადასასვლელზე სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების გამო მიმდინარე წლის 25 ივლისს 02:00 საათიდან 20:00 საათამდე გაზის მიწოდება შეუწყდება ლაითურის, ურეკისა და აჭარის მომხმარებლებს“. – ნათქვამია განცხადებაში. (რეპორტიორი)

## ქუთაისის მერიის თანამშრომლები პრემიას სამის ნაცვლად ორჯერ მიიღებენ



ქუთაისის მერიის თანამშრომლები მიმდინარე წელს სამი პრემიის ნაცვლად ორს მიიღებენ. ქუთაისის ვიცე-მერმა, ნოდარ მიქიაშვილმა განმარტა, რომ მერიის თანამშრომლებმა ერთი პრემია უკვე აიღეს, ხოლო მეორეს მიმდინარე წლის ბოლოსთვის მიიღებენ. ერთი პრემიის გაუქმებით დაზოგილი თანხა 300 000 ლარს შეადგენს. გამოთავისუფლებულ თანხას ქუთაისის მერია სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენებს. (რეპორტიორი)



„კორუფციასთან ბრძოლის“ ეგიდით იჭერდნენ შევარდნაძის მთავრობის ყოფილ მინისტრებს, როცა ექსცენტრიკული სააკაშვილი თეთრ სახლში რეკავდა და აპლოდისმენტებს ითხოვდა. ხელისუფლებამ ამ გზით სიარულზე უარი თქვა, რამაც სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაგვიანება გამოიწვია, თუმცა „ალია“ კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით ბარამიძე, თქვენი საქმეები კიდევ ერთხელ გადაიხედება. – ნ.ს.) 3. პოლ კაფი – ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების ყოფილი დირექტორი. საჯარო სამსახურიდან წასვლის შემდეგ, ის გაეროს მისიით იმყოფებოდა კოსოვოში. პოლ კაფი აქტიურად მონაწილეობდა კოსოვოს იუსტიცი-

**თუკი სააკაშვილი პროკურატურაში დაკითხვაზე ნებით არ გამოცხადდება, მას ძალით ჩამოათრევენ. 21-ე საუკუნის „სიკვდილის ანგელოზს“ პროკურატურა დამსახურებულ „საჩუქარს“ უმზადებს. ხელისუფლებამ არაორდინარული ნაბიჯი გადადგა, პანიკიორი სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების საქმეებს, ახლა უკვე მსოფლიოში ცნობილი სისხლის სამართლის პრაქტიკოსი სპეციალისტების ჯგუფის დახმარებით გამოიძიებენ.**

სისხლის სამართლებრივი დევნით შეუზღუდოს საქართველოში ჩამოსვლის საშუალება. სწორედ ამიტომ საქვეყნოდ მინდა, ვუთხრა ივანიშვილს ძალიან მარტივად და გასაგებად, ვაძლევ გარანტიას თუ ასეთ ავანტიურას გაბედავს, მწარედ ინანებს, ის ასეთი ქცევით საკუთარ თავს გამოუტანს განაჩენს“ (?!). ახალაია, ახლა, ვიცინოთ თუ ვიტიროთ, მწარედ ინანე შენი დანაშაული და ღმერთს პატიება სთხოვე, ივანიშვილს კი შენისთანები ბევრჯერ მოუნელებია. იმას გაექანე, ვინც შენი კალიბრისაა, გვერდით გაიხედეთ ბაჩო, გიგი, ვანო და კიდევ შემოგისახლებენ ნაკაცარებს, გააკეთეთ გრძელი ჯაჭვი და ერთად იხტუნავეთ!

საერთოდ, ანეკდოტია კრიმინალში ექვმიტანილი, ადვოკატის მანტიას ამოფარებული გოგა ონიანი. არ გაინტერესებთ, რას ამბობს ონიანი?

# სააკაშვილს კიევში „საქართველოს განმათავისუფლებელი შტაბი“ აქვს შექმნილი

პრეზიდენტობიდან პატიმრობამდე მიხეილ სააკაშვილს ცხელი ზაფხული აშორებს, თუკი სააკაშვილი პროკურატურაში დაკითხვაზე ნებით არ გამოცხადდება, მას ძალით ჩამოათრევენ. 21-ე საუკუნის „სიკვდილის ანგელოზს“ პროკურატურა დამსახურებულ „საჩუქარს“ უმზადებს. ხელისუფლებამ არაორდინარული ნაბიჯი გადადგა, პანიკიორი სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების საქმეებს, ახლა უკვე მსოფლიოში ცნობილი სისხლის სამართლის პრაქტიკოსი სპეციალისტების ჯგუფის დახმარებით გამოიძიებენ. მათი ვერდიქტის შემდეგ, დასავლეთს არ დარჩება კითხვები და დამნაშავე რეჟიმის არქიტექტორების დაკავება ველარ გახდება პოლიტიკური სპეკულაციების საგანი. პრემიერი ამკვიდრებს სტანდარტს, როცა ქვეყანაში უზენაესია კანონი და არა სტატუსი, რომელსაც დამნაშავე ელემენტები პოლიტიკურ თავშესაფრად იყენებენ.

ჩვენ გვახსოვს, სააკაშვილის ხელისუფლების ტელეშოუდ ქცეული დაპატიმრებები, როცა წერდა, რომ იქნებოდა „ცხელი ზაფხული“, არჩევნების შემდეგ, დაიწყებოდა დიდი დაჭერები. ფაქტობრივად, დაანონსებული გეგმა, სცენარის მიხედვით მიდის, მიხეილ სააკაშვილს აუცილებლად მოუწევს მინიმუმ პროკურატურაში დაკითხვაზე გამოცხადება. როცა ქვეყანაში მსოფლიოში აღიარებული პროკურორები და გამომძიებლები ჩამოდიან, ეს ნიშნავს, რომ რეჟიმის გასამართლება იწყება. თუკი მათ ბეგრაუნდებს გადავხედავთ, ადვილი მისახვედრი ხდება, რა არის მათი მისია და რა საქმეებში გაუწევენ ისინი ქართველ სამართალდამცავებს კონსულტაციებს.

მაშ ასე, ვინ არიან მოწვეული სპეციალისტების ჯგუფის წარმომადგენლები და რატომ ჩავარდნენ პანიკაში „ნაციონალები“: 1. სერ ჯეფრი ნაისი 1998-2006 წლებში იყო იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მთავარი პროკურორის მოადგილე, ის პირადად უძღვებოდა სერბეთის ყოფილი პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის საქმეს (შემდეგი შენ იქნები მიშა! – ნ.ს.). 2. მოშე ლადორი – იყო ისრაელის სახელმწიფო პროკურორი 2013 წლის ბოლომდე. თანამდებობაზე ყოფნისას ის ზედამხედველობდა არაერთი პოლიტიკოსის წინააღმდეგ აღძრულ და გამოძიებულ საქმეებს, რომელთა შორისაც იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრის ეჰუდ ოლმერტის საქმეც (მერაბიშვილო, ახალაიებო, ადეიშვილო, უგულავა, ბოკერია, თარგამაძე, ის სისტემის რეფორმაში, ასევე ზედამხედველობდა გაეროს მიერ კოსოვოში წარმოებულ ყველა საქმეს, მათ შორის, ომის დანაშაულთა გამოძიებას (აგვისტოს ომი, საქმე რომელიც სააკაშვილის და „ნაციონალების“ თავზე დამოკლეს მახვილივით კიდია... სხვათა შორის, ცხონებული ეროსი კიწმარიშვილის მემუარებიდან ამონარიდი მახსენდება, „როცა სააკაშვილი 2006 წელს ჯორჯ ბუშთან ჩავიდა, სააკაშვილის გარემოცვამ ხმები დაყარა, ბუშთან არის შეთანხმებული ომის დაწყებაო, რეალურად ეს იყო ბლეფი და სააკაშვილის ავანტიურა, რამაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა“ (ამ ავანტიურით სააკაშვილმა ტერიტორიების 20% დაგვაკარგვინა. – ნ.ს.).

**ქართველი ხალხი გამოვიდა 9-წლიანი ჯოჯოხეთიდან და გამოგიტანათ განაჩენი, პოლიტიკური დევნა თქვენი ხელობაა, ამ სტატუსიდან ძალიან შორს დგახართ, რადგან თქვენ ხართ სისხლის სამართლის დამნაშავეები, ვინც ამ ქვეყანაში გვამების სუნი დააყენა! აი, თქვენ კი ნამდვილად გელოდებათ ჯოჯოხეთი და არა მხოლოდ პოლიტიკური ჯოჯოხეთი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით ჯოჯოხეთი!**



**ახალაია, მწარედ ინანე შენი დანაშაული და ღმერთს პატიება სთხოვე, ივანიშვილს კი შენისთანები ბევრჯერ მოუნელებია. იმას გაექანე, ვინც შენი კალიბრისაა, გვერდით გაიხედეთ ბაჩო, გიგი, ვანო და კიდევ შემოგისახლებენ ნაკაცარებს, გააკეთეთ გრძელი ჯაჭვი და ერთად იხტუნავეთ!**

ახლა ვნახოთ, ამ გვარების გაგონებაზე, ისტერიკაში ჩავარდნილი „ნაცმოძრაობის“ რეაქცია: თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია გისოსებიდან იმუქრება და თავი კვლავ კანიბალი მინისტრი ჰგონია: „გასაგებია ივანიშვილის მცდელობა, შეასრულოს პუტინის დავალება და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს „სამი პროკურორი კი არა რუსეთის ესკადრილია, რომ ჩამოიყვანოთ, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მაინც არ დაგაჭერინებთ“. ჯაჭვებით დააბით და გულზე ლოდი ჩამოჰკიდეთ, ეგ თქვენი მიხეილი პოლიტიკურმა ქარმა არ მოგტაცოთ და თქვენც არ გაგიყოლოთ. გამაღიზიანებელია, როცა შენიღბული

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სომხურ ეკლესიასთან მომხდარი ინციდენტი პარლამენტში განიხილეს



სომხური ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. საკითხი ახალქალაქის მაჟორიტარმა სამველ პეტროსიანმა დასვა და აღნიშნა, რომ ინციდენტს ჯავახეთის რეგიონში ნეგატიური რეაქცია მოჰყვა:

„პირველი შეფასება იყო, რომ კონფლიქტი ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე მოხდა, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, მიზეზი იყო საყოფაცხოვრებო, რასაც სომხური ეკლესიის ეპისკოპოსიც დაეთანხმა. ჩვენ მივმართავთ სამართალდამცავ ორგანოებს, გამოიძიონ, მომხდარს შესაბამისი კვალიფიკაცია მისცენ და ვინც ინიციატორი და დამნაშავე იყო, სათანადოდ დაისაჯონ. აღმოჩნდა, რომ იმ ჯგუფში, ვისზეც ამბობდნენ, რომ არმენოფობიით იყვნენ მოტივირებული, საქართველოს მოქალაქე ეთნიკური სომხები იყვნენ“, – აღნიშნა პოღოსიანმა, რომელიც საქმის შესწავლაში, კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას დავალებით ჩაერთო.

„საქართველოში რაიმე დაძაბულობის კერა არასდროს იქნება. ქართველებსა და სომხებს შორის როგორც იყოს მეგობრული ურთიერთობა, ასევე დარჩება საუკუნეების მანძილზე“, – განაცხადეს სხდომაზე. (რეპორტიორი)

## ნიგერიაში ქართველების დაკავების მიზეზი გემზე აღმოჩენილი რაკეტები გახდა



ნიგერიაში ქართველი მეზღვაურების დაკავების შესახებ ახალი დეტალები გახდა ცნობილი. კომპანიის ხელმძღვანელის განცხადებით, რომელმაც ქართველი მეზღვაურები დაიქირავა, ხომალდზე საბრძოლო მასალაა აღმოჩენილი. მისი თქმით, ბორტზე რაკეტებია, რომლის არეალიც 200 კმ რადიუსს აღწევს და სწორედ აღნიშნული გახდა გემის დაკავების რეალური მიზეზი. გემს სამართალდამცველთა გაძლიერებული შემადგენლობა აკონტროლებს და ისინი ქართველ კაპიტანსა და მეზღვაურებს გადაადგილების საშუალებას არ აძლევენ.

„არანაირი არალეგალური ტვირთი არ გვქონია. ერთი კონტეინერი იყო, ტყვიის წამალი, თუ რაღაც ასეთი და გვითხრეს, რომ აქ შემოტანა არ შეიძლებოდაო“, – განაცხადა დაკავებული გემის კაპიტანმა რეზო ქათამაძემ.

შპს „ნაიმის“ დირექტორ ემზარ ბერიძის განცხადებით, დაკავების რეალური მიზეზის შესახებ მან მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეიტყო. „ტვირთის მფლობელმა, ამ ტვირთის გარდა, კონტეინერი დადო გემზე, რომელიც გაფორმებული არაა. ეს ინფორმაცია მე მეზღვაურებისგან მაქვს. კონტეინერი ნიგერიაში რომ ჩაიტანეს, აღმოჩნდა, რომ რაკეტები ყოფილა და ამის გამო დაუკავებიათ. მე ეს ორი თვის შემდეგ გავიგე გემის კაპიტნისგან“, – განაცხადა ემზარ ბერიძემ. (ფრონტნიუსი)

## „თბილისი შარდის სუნით ყარს“

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი, ალექსანდრე ელისაშვილი თბილისში საზოგადოებრივი ტუალეტების გაკეთების ინიციატივით გამოდის. მისი თქმით, იმ საპრემიო თანხით, რომელიც საკრებულოს თანამდებობის პირებს უნდა მიეღოთ, ძველ თბილისში, სადაც ტურისტები მოძრაობენ, საზოგადოებრივი ტუალეტები უნდა გაკეთდეს.

„თითო დეპუტატი ისე იწერდა 20 000 ლარს, 300-350%-იან პრემიას, როგორც დაგიბარებია. ჯამში, პრემიების თანხა ადიოდა ნახევარ მილიონზე და მეტზეც. აი, ახლა პრემიებზე რომ ფული დავზოგეთ, უზარმაზარი ფული, ამ თანხით შესაძლებელია გამოვაცხადოთ ტენდერი, იმიტომ, რომ ძველი თბილისი არის ტურისტებით სავსე და ყარს შარდის სუნად ლესელიძე. ამდენად პირველი ნაბიჯი ეს იქნება“, – განაცხადა ელისაშვილმა. (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

აგენტები, ბნელ ოთახში შავ კატას ეძებენ პუტინის თვალებით, მაშინ, როცა 2004 წელს პუტინზე ამოსდიოდა მზე და მთვარე სააკაშვილს და როცა პირველად მას თვალებში ჩახედა, მიხეილ მიხვდა, რომ მსოფლიოში ყველაზე ჰუმანურ ადამიანთან ჰქონდა საქმე, ეს მიშას სიტყვებია და ხომ არ დაგავიწყდათ, რუსეთის რეზიდენტებო? დღეს, როცა გოგა ონიანი აცხადებს, რომ სააკაშვილის დაჭერა პუტინის ინტერესებს ემსახურება, პუტინი შეძლებს თუ არა თავისი ოცნების ასრულებას. ონიანს შევახსენებ, რომ სააკაშვილის გასამართლება, ესაა ქართველი ხალხის მოთხოვნა. რამდენჯერაც პუტინს ახსენებთ, იმდენჯერ შეგახსენებთ, რომ თქვენმა პოლიტიკურმა ძალამ ყველაფერი მისცა პუტინს, რისი მიცემაც შესაძლებელი იყო და პუტინს თქვენნაირი კომფორტული ხელისუფლება საქართველოში არ ჰყოლია. სააკაშვილის გენიტალიებით დაკიდების რეალური სურვილი პუტინს რომ ჰქონდეს, აქამდე მიშა დიდი ხნის დატირებული გეყოლებოდათ. „ნაცმოძრაობა“ და გოგა ონიანი გვიანონსებს, რომ პოლიტიკური დევნის გზით ხელისუფლება მიიღებს ჯოჯოხეთს და მათ ამ განაჩენს გამოუტანს ქართველი ხალხი! ძალიან სასაცილოა, როცა ამას გოგა ონიანი წერს. ქართველი ხალხი გამოვიდა 9-წლიანი ჯოჯოხეთიდან და გამოგიტანათ განაჩენი, პოლიტიკური დევნა ეს თქვენი ხელობაა, ამ სტატუსიდან ძალიან შორს დგახართ, რადგან თქვენ ხართ სისხლის სამართლის დამნაშავეები, ვინც ამ ქვეყანაში გვამების სუნი დააყენა! აი, თქვენ კი ნამდვილად გელოდებათ ჯოჯოხეთი და არა მხოლოდ პოლიტიკური ჯოჯოხეთი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით ჯოჯოხეთი!

**ყოფილი მინისტრებისა და გუბერნატორების გარდა, კიევში ჩაიყვანეს „ზონდერჯგუფები“ და იქ გადიან წვრთნებს. არის ინფორმაცია, რომ კიევში შეიკრიბნენ დეპარტამენტების ყოფილი ხელმძღვანელები, პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსები, ქართული არმიის ოფიცრები. თუ რა ჯოჯოხეთს გვპირდება „ნაცმოძრაობა“, უკვე ნათელი ხდება, რისთვის ემზადება სააკაშვილი შემოდგომაზე, თუმცა მიხეილ, ვერ ეღირსები საქართველოში ახალი რევოლუციური ტალღის აგორებას, შენი დრო ამ ქვეყანაში სამუდამოდ დასრულდა!**

უკრაინის ხელისუფლება, პრაგმატული და წინდახედულ რომ იყოს, წესით, თქვენ უნდა გემიჯნებოდეთ, გამაოგნებელია მათი მენტალური კრახი, როცა პრეზიდენტი გქვია, მინიმუმ მეგობარი ქვეყნის ლიდერს უნდა დაეკითხო, რას მოუტანს დანაშაულში ეჭვმიტანილი ექსპრეზიდენტის უკრაინაში ყოფნა და ხომ არ გაართულებს ეს ჩვენს საუკუნოვან მეგობრობას.

საითაც მიაქანებს სააკაშვილი პროცესებს, ამას ჩვენც ვხედავთ, მაგრამ რას მოიტანს სააკაშვილის ექსცენტრიკულობა საქართველოსთვის, ახლა ესაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, სააკაშვილს კიევში „საქართველოს განმათავისუფლებელი შტაბი“ აქვს შექმნილი. შტაბში შედიან სააკაშვილის გუნდის წევრები – გიორგი ბარამიძე, გიორგი ვაშაძე, დავით საყვარელიძე, გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე თენგიზ გუნავა და ისინი სააკაშვილის ინსტრუქტაჟით ხელმძღვანელობენ. ყოფილი მინისტრებისა და გუბერნატორების გარდა, კიევში ჩაიყვანეს „ზონდერჯგუფები“ და იქ გადიან წვრთნებს. არის ინფორმაცია, რომ კიევში შეიკრიბნენ დეპარტამენტების ყოფილი ხელმძღვანელები, პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსები, ქართული არმიის ოფიცრები. რა ჯოჯოხეთს გვპირდება „ნაცმოძრაობა“, უკვე ნათელი ხდება, რისთვის ემზადება სააკაშვილი შემოდგომისთვის, თუმცა მიხეილ, ვერ ეღირსები საქართველოში ახალ რევოლუციური ტალღის აგორებას, შენი დრო ამ ქვეყანაში სამუდამოდ დასრულდა!

როცა საუბარია „ნაციონალური მოძრაობიდან“ ახალი ლიდერების გამოჩეკაზე, როცა გიორგი ვაშაძე მოიაზრება „ნაცმოძრაობის“ იანუსად, ვაშაძე ვერ აჩვენებს კეთილ სახეს, რადგან მისი ორმაგი სახე მხოლოდ ბოროტების მსახურია. ცინიზმია, როცა უკრაინა იუსტიციის სახლების რეფორმებში მრჩევლად ეძახის კაცს, რომელმაც არჩევნები გააყალბა და მას ბრალად ედება ყალბი პასპორტების დაბეჭდვა. ცინიზმია, როცა დღესაც ჩვენ ვარჩენთ „ნაციონალურ“ მოძრაობას და ხელფასებს ვუხდით საკუთარი დილიხორის გასწორებაში, ჩვენ ვაფინანსებთ მათ აღვირახსნილ გრიალს და ეშმაკთან მეგობრობას. სამარცხვინოა, როცა საუბრობენ გაცემულ პრემიებზე ისინი, ვინც ხალხის ფულს „კაზინოებში“ თამაშში ხარჯავს. ვაშაძე, ან გაჭირვებული ნათესავი არ გყავს, ან მეგობარი, ან სინდისი არ გაქვს, რომ დაეხმარო? არ თქვა ახლა კაზინოების რეფორმებით ვარ დაკავებულიო, აი, ესაა თქვენი ნამდვილი სახე, ნიღბებს ამოფარებული წურბელები ხართ, ესეც შენი ფოტო ვაშაძე და როცა კაზინოში შესვლასა და ეშმაკთან თამაშს გადაწყვეტ, გახსოვდეს, ხალხთან თამაში, კაზინოში თამაში არ არის, შენც კარგი „იგროკი“ ყოფილხარ!



**„საერთოდ, ანეკდოტია კრიმინალში ეჭვმიტანილი, ადვოკატის მანტიას ამოფარებული გოგა ონიანი. არ გაინტერესებთ, რას ამბობს ონიანი? „სამი პროკურორი კი არა რუსეთის ესკადრილია, რომ ჩამოიყვანოთ, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მაინც არ დაგაჭერინებთ“. ჯაჭვებით დააბით და გულზე ლოდი ჩამოჰკიდეთ, ეგ თქვენი მიხეილი პოლიტიკურმა ქარმა არ მოგტაცოთ და თქვენც არ გაგიყოლოთ“**



**სამარცხვინოა, როცა გაცემულ პრემიებზე ისინი საუბრობენ, ვინც ხალხის ფულს „კაზინოებში“ თამაშში ხარჯავენ, ვაშაძე, ან გაჭირვებული ნათესავი არ გყავს, ან მეგობარი, ან სინდისი არ გაქვს, რომ დაეხმარო? არ თქვა ახლა კაზინოების რეფორმებით ვარ დაკავებულიო, აი ესაა თქვენი ნამდვილი სახე, ნიღბებს ამოფარებული წურბელები ხართ, ესეც შენი ფოტო, ვაშაძე**

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ირმა ნადირაშვილი დაინტერესდა, რამდენად ეთიკურად მიიჩნევს ფინანსთა მინისტრი გარღვეული ბიუჯეტის ფონზე დიდი ოდენობის პრემიების გაცემას. ხადურმა ნადირაშვილს ჰკითხა, – თქვენი ოჯახის წევრი რომ 10-ათასიან პრემიას იღებდა საჯარო სამსახურში, ეს უზნეობა არ იყო? მე კი მინდა ირმას ვკითხო, რამდენად ეთიკურად მიიჩნევს, როცა ხალხი აფინანსებს მისი თანაპარტიელისა და „ნაცმოძრაობის“ სახის გიორგი ვაშაძის კაზინოში თამაშს? ირმა ნადირაშვილი ჯერ თავის მეგობრების უზნეობაში რომ გარკვეულიყო და მერე „ეპროფესორა“, კარგი იქნებოდა. ირმა, რატომ არ ინტერესდები ვაშაძის ბრალდებებით? პროკურატურას ვაშაძესთანაც მალე ექნება კითხვები და მოემზადე, ამის მიზეზი ყალბი პასპორტების დაბეჭდვა იქნება. „ქრონიკა“ წერდა, რომ აჭარის კუდის ყოფილმა უფროსმა თემურ პატარიძემ ის „ჩაუშვა“, პატარიძეს ბრალი ედება 2008 და 2012 წლების არჩევნების წინ, ყალბი პირადობის მოწმობების დამზადებასა და გამოყენებაში, აჭარის პოლიციამ სპეციალური სამალავებიდან რამდენიმე ათასი ყალბი პირადობის მოწმობა ამოიღო, რომელთაც სპეცსამსახურების თანამშრომლები, პოლიციელები, სკოლების პედაგოგები და „ნაცმოძრაობის“ აქტივისტები იყენებდნენ არჩევნებზე. ყალბი პირადობის მოწმობები მთელი საქართველოს მასშტაბით მზადდებოდა, ამ საქმეს სათავეში იუსტიციის ყოფილი მინისტრი, ზურაბ ადეიშვილი ედგა, მისი მოადგილე და სამოქალაქო რეესტრის თავმჯდომარე კი გიორგი ვაშაძე იყო. თემურ პატარიძემ გამოძიებასთან ითანამშრომლა და ყველა ის მაღალი თანამდებობის პირი დაასახელა, ვინც არჩევნების გაყალბების პროცესში მონაწილეობდა, მათ შორის, გიორგი ვაშაძე. „ქრონიკის“ ინფორმაციით, პატარიძემ გამოძიებას გადასცა ფარული აუდიო და ვიდეოჩანაწერები, საიდანაც დასტურდება, რომ გიორგი ვაშაძე თათბირებზე ინსტრუქტაჟს იძლეოდა პირადობის მოწმობების გაყალბებასთან და მათ გამოყენებასთან დაკავშირებით. ირმა ნადირაშვილო, აბა ახლა გამოიცანი პროკურატურაში დასაკითხებიდან ვისი ჯერი დგება და ვის უზნეობას გაიგებს ხალხი?

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

**ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...**

## „მასტერას“ საქმის განხილვა ოქტომბრამდე გადაიდო



გიორგი დგებუაძის, იგივე „მასტერას“ საქართველოში ექსტრადირების საკითხის განხილვა ოქტომბრამდე გადაიდო. ჰოლანდიის სასამართლომ განხილვის გადადების მიზეზად საქმის მასალების შესასწავლად მეტი დროის საჭიროება დაასახელა.

დგებუაძის ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამ დრომდე ჰოლანდიის სასჯელაღსრულების ერთ-ერთ დაწესებულებაში რჩება.

შეგახსენებთ, რომ გიორგი დგებუაძე ჰოლანდიელმა სამართალდამცველებმა ერთი თვის წინ დააკავეს. მას ქართველი სამართალდამცველები ორ ეპიზოდში ედავებიან, ესენია: ე.წ. „ნავთლუღის სპეცოპერაციის“ საქმე და თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლების მიმართ არაადამიანური მოპყრობა. (ფრონტნიუსი)

## „სამართლიანობა ვისი აღსადგენიცაა, მას ამის შნო და ერთი ადგილი არ აქვს“

„ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი, გიორგი ახვლედიანი თვლის, რომ პირველად მოხდა ქვეყანაში, როცა არავინ იცის, რატომ გახდა საჭირო სამთავრობო ცვლილებები.

„რჩება შთაბეჭდილება, რომ სამთავრობო გადაადგილებებს არანაირი საფუძველი არ ჰქონია. ამ გადაწყვეტილებას, უფრო, ემოციური, ადამიანური უკმაყოფილების გამოხატვის ფორმა ჰქონდა. ამ შემთხვევაში არა ღარიბაშვილი, არამედ ივანიშვილის მხრიდან. ვერ გეტყვით ივანიშვილმა ცუდ ხასიათზე გაიღვიძა თუ დაიძინა. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მყოფი საბავშვო ბაღი აგრძელებს საბავშვო ბაღისთვის დამახასიათებელ თამაშებს“, – განაცხადა გიორგი ახვლედიანმა.

ახვლედიანი საქართველოს მთავარი პროკურატურის მოწვევით, თბილისში მსოფლიოში აღიარებული სისხლის სამართლის პრაქტიკოსი სპეციალისტების ჯგუფის ჩამოსვლის ფაქტს მიესალმება.

„იმედი გვაქვს, რომ ეს ექსპერტები, მათი რეკომენდაციებით, ცოტა წინ წაწევენ პროკურატურის საქმეს, თუმცა, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა მათი საქმე რომ არ არის, ეს ყველას კარგად გვესმის. ქვეყანაში სამართლიანობა ვისი აღსადგენიცაა, მას ამის შნო და ერთი ადგილი არ აქვს“. – აღნიშნა ახვლედიანმა. (რეპორტიორი)

## თბილისის საკრებულოს უმცირესობა შსს-ს მიმართავს



თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – თბილისი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს.

აღნიშნული ფრაქციები სოლიდარობას უცხადებენ მუნიციპალური ავტობუსების მძღოლებს და გმობენ მათ მიმართ გახშირებული ძალადობის შემთხვევებს.

„სამწუხაროდ, ამის მიზეზი საზოგადოებაში დაუსჯელობის განცდის განმტკიცებაა, რასაც ხელს უწყობს და ახალისებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინერტული მოქმედება და ასეთ ფაქტებზე სათანადო, დროული რეაგირების არქონა.

მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, მკაცრი სამართლებრივი რეაგირება მოახდინოს ხულიგნობისა და ძალადობის ყველა შემთხვევაზე, რათა დაცული იყოს მძღოლებისა და სხვა პერსონალის უსაფრთხოება. მათ საშუალება უნდა ჰქონდეთ, მშვიდად მოემსახურონ თბილისელებს, იფიქრონ მხოლოდ სამსახურზე და არა საკუთარი თავის დაცვაზე. ეს კი მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის შეფერხება, რაც მნიშვნელოვნად დააზარალებს თბილისელ მგზავრებსაც“, – ნათქვამია განცხადებაში. (რეპორტიორი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





გამართლდა. წინასწარმეტყველი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ, რასაც ვამბობ, ის დოკუმენტებზე დაყრდნობილი ანალიზია. გარდა ამისა, გამომეხმაურა ათასობით ბავშვი სოციალური ქსელით, თუ ტელეფონით და მათ მიამბეს, რაც მოხდა მისაღებ გამოცდებზე და რა კატასტროფულად დააკლეს ბავშვებს ნიშნები, აი, ამის შესახებ მაქვს ინფორმაცია.

**— მოკლედ, დამთავრდა გამოცდები და დაიწყო ნიშნების გამოცხადება. შევაფასოთ წლევანდელი ეროვნული გამოცდები.**

– უკვე ცნობილია, უნარ-ჩვევების დიდან: იცით, რომ აბიტურიენტებს წელს ამ გამოცდებზე დაემატათ ე.წ. „მოსმენით" ტექსტის დაწერა, მაგრამ ბავშვების სიტყვით, არსებობდა ორი უკიდურესობა, ერთი ის, რომ ტექსტი იყო ხარვეზით ჩაწერილი, ან გამაყრუებლად ხმამაღლა ისმოდა ტექსტი, ან ზოგან პირიქით – ხმადაბლა. ანუ ტექნიკური წუნი ჰქონდა ამ ჩანაწერს.

**— და რატომ ხდებოდა ასე? ეს იყო გამიზნულად უხარისხო ჩანაწერი, თუ რა? დღეს კარგი ჩანაწერის გაკეთებას წინ რა უდგას?**

– ამაზე ცენტრის პასუხი ახლავე ვიცი, რაც იქნება, რომ ტექსტი იყო უნაკლოდ ჩაწერილი, რომ ბავშვები ცრუობენ. ან მეორე ვარიანტი: რა იცის ნიკოლაიშვილმა, თავისი ყურით ხომ არ მოუსმენია ამ ტექსტისთვისო? ამ დროს, ვიმეორებ, არ არსებობს, როდესაც 9000 ვაკანტური ადგილია, რა აუცილებლობას წარმოადგენდა ტესტების ასეთი უსაშველო გართულება? როდესაც 45 ათასი ადგილია და 36 ათასი განცხადებაა, ხოლო აქედან კიდევ უამრავი ბავშვი იჭრება საატესტატო გამოცდაზე და, რადგანაც ვერ აიღეს ატესტატები, ეს ბავშვები ხომ ისედაც ვერ გადიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ანუ ამ ვაკანსიას კიდევ მოემატა

**„ზოგადად, გართულებული იყო ქართულისა და უნარ-ჩვევების, ასევე არჩევითი საგნების ტესტებიც, რომელშიც 8 საგანია ჩადებული და მოდით, ერთი წუთით დავეთანხმოთ იმას, რომ ყოველწლიურად გამოცხადებულია, გავართულებთ ტესტებსო, მაგრამ არაპროგრამული მასალა რატომ იდება ტესტში, ამაზე პასუხი არსებობს?"**

# რა ხარვეზებით ჩატარდა ეროვნული გამოცდები?

**„ალიას" ესაუბრება ექსპერტი განათლების საკითხებში, მანანა ნიკოლაიშვილი:**

– როცა ივნისში საატესტატო გამოცდებზე ვლაპარაკობდით, მაშინ ვთქვით, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ყველა საგანში მოსალოდნელია საკმაოდ რთული ტესტი და, რომ დაიდება არასასურველი შედეგები-მეთქი და ეს ქულები და ცნობილი გახდა ასევე უცხო ენების ქულების რაოდენობაც. ოფიციალურად ჯერ არ ვიცით, რამდენი აბიტურიენტი ჩაიჭრა უცხო ენების გამოცდაში, მაგრამ უნარების შედეგები ხომ ვიცით, აბიტურიენტების 11%-ია ჩაჭრილი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ 5000-ზე მეტმა ბავშვმა მიიღო არადამაკმაყოფილებელი შეფასება. დავიწყოთ უცხო ენების გამოც-



**„ამას აცხადებს ათიათასობით ბავშვი. ზოგადად გართულებული იყო ქართულისა და უნარ-ჩვევების, ასევე არჩევითი საგნების ტესტებიც, რომელშიც 8 საგანია ჩადებული და მოდით, ერთი წუთით დავეთანხმოთ იმას, რომ ყოველწლიურად გამოცხადებულია, გავართულებთ ტესტებსო, მაგრამ არაპროგრამული მასალა რატომ იდება ტესტში, ამაზე პასუხი არსებობს?"**

ამას აცხადებს ათიათასობით ბავშვი. ზოგადად, გართულებული იყო ქართულისა და უნარ-ჩვევების, ასევე არჩევითი საგნების ტესტებიც, რომელშიც 8 საგანია ჩადებული და მოდით, ერთი წუთით დავეთანხმოთ იმას, რომ ყოველწლიურად გამოცხადებულია, გავართულებთ ტესტებსო, მაგრამ არაპროგრამული მასალა რატომ იდება ტესტში, ამაზე პასუხი არსებობს?

**— რა იყო არაპროგრამული, შეგიძლიათ, კონკრეტულად დაასახელოთ?**

– მაგალითად, ქიმიური ფორმულის დადგენაზე ამოცანები პროგრამაში არ შედის და გპირდებით, რომ ცალკე სტატიაში ვისაუბრებ, წლევანდელ ტესტებში ზოგადად რა იყო არაპროგრამული მასალა და ძალიან გთხოვთ, ეს დაბეჭდოთ, რადგანაც აბიტურიენტები და მათი მშობლები უნდა განეწყონ იმისთვის, რომ იბრძოლონ, ი-ბრძო-ლონ! მაინტერესებს, როდემდე უნდა გართულდეს ეს საკითხები?

**— როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი შეგნებულად იყო მოფიქრებული?**

– ცხადია, შეგნებულად იყო და დასაწყისში ამბობდნენ კიდეც, ტესტებს გავართულებთო, მაგრამ, როდესაც კონკურსი, ფაქტობრივად,

გამოცდების ეროვნული ცენტრი

**„ამაზე ცენტრის პასუხი ახლავე ვიცი, რაც იქნება, რომ ტექსტი იყო უნაკლოდ ჩაწერილი, რომ ბავშვები ცრუობენ. ან მეორე ვარიანტი: რა იცის ნიკოლაიშვილმა, თავისი ყურით ხომ არ მოუსმენია ამ ტექსტისთვისო? ამ დროს, ვიმეორებ, ამას აცხადებს ათიათასობით ბავშვი"**

ადგილები და საბოლოო ჯამში, როცა იღებ 10 ათასამდე თავისუფალ ადგილს, ეს ხომ ყველაფერი ვაკანსიაა და რა აუცილებლობას წარმოადგენდა ტესტების ამდაგვარი გართულება? ეროვნულ საგამოცდო ცენტრს ამაზე აქვს პასუხი, რომ ერთიან ტესტებს ჩვენ ვაკეთებთ, რომ რეგისტრაცია მიმდინარეობს 2014 წლის დასაწყისიდან, რომ ტესტები ბევრად ადრე დგინდება და შემდეგ უცხოეთში, ინგლისში იბეჭდება, ანუ იტყვიან ასე და ისეო, მაგრამ აბიტურიენტების მიახლოებითი რიცხვით ხომ

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



## დავით ნარმანია მუშაობას 2 აგვისტოდან შეუდგება

თბილისის ახლად არჩეული მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, ახალი გუნდი მუშაობას 2 აგვისტოდან შეუდგება:

„მანამდე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ შემადგენლობას, რომელი შემადგენლობაც ბოლო პერიოდის განმავლობაში მუშაობდა მერიაში. დარწმუნებული ვარ და ვიცი, რომ გაგებით მოეკიდა ამას საზოგადოებაც და გაგებით მოეკიდნენ თბილისის მერიის თანამშრომლებიც, რომ გაურკვევლობა, რაც არსებობდა, ასეთი გაურკვევლობა არ ყოფილიყო და სწორად მიწოდებოდა ინფორმაცია", – განაცხადა ნარმანიამ. (ინტერპრესნიუსი)

## გიგი წერეთელი და გია ვოლსკი შელაპარაკდნენ

ბიუროს სხდომაზე უმცირესობის წევრმა გიგი წერეთელმა უკრაინასთან დაკავშირებით პარლამენტისგან განცხადების მიღება მოითხოვა. წერეთლის მოთხოვნით, მასში მკვეთრად უნდა იყოს დაფიქსირებული პარლამენტის მოსაზრება ავიაკატასტროფასთან დაკავშირებით.

„ასე გაჩუმება უკრაინის ფაქტთან დაკავშირებით არ ღირს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საზოგადოებამ განცხადებები გააკეთა. მთელმა მსოფლიომ გამოხატა პოზიცია და თუ უმრავლესობას არ სურს საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება, მაშინ ეს თქვენი გადასაწყვეტია", – განაცხადა წერეთელმა.

მას უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ უპასუხა: „უკრაინას 30 ექსპერტი ჰყავს ჩამოყვანილი და მიმდინარეობს დიდი პროცესი, რომელმაც შეიძლება ისტორია შეცვალოს. ამიტომ დაველოდოთ მათ დასკვნას. ამდენი საუბარი, რომ უმრავლესობა თავს იკავებს განცხადებისგან, არასწორია და ამდენი ლანძღვაც არ არის საჭირო. აქ რუსეთზე არ არის საუბარი. რუსულ პოლიტიკას ატარებთ და ატარებდით თქვენ", – განაცხადა გია ვოლსკიმ. (რეპორტიორი)

## თელ-ავივში განგაშის გამოცხადების გამო ქართული დელეგაცია ბუნკერში იმყოფებოდა



თელავივის აეროპორტში გამოცხადებული განგაშის გამო ქართველი ჟურნალისტები, რამდენიმე წუთის განმავლობაში, ე.წ. სპეციალურ ბუნკერში იმყოფებოდნენ. აღნიშნულის მიზეზი აეროპორტში სარაკეტო დარტყმის გამაფრთხილებელი სირენის ჩართვა გახდა. ჟურნალისტები და აეროპორტში მყოფი მგზავრები ბუნკერში რამდენიმე წუთის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

„თელავივის აეროპორტში განგაში ადგილობრივი დროით 9 საათზე გამოცხადდა. აეროპორტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა გვითხრა, რომ გავყოლოდით მას. თავიდან გვეგონა ერთგვარი შემოწმება იყო, მოგვიანებით კი აღმოჩნდა, რომ ბუნკერში მივყავდით. ჩვენ რამდენიმე წუთის განმავლობაში ვიყავით ბუნკერში და როდესაც განგაში დამთავრდა, ბუნკერიდან გამოგვიშვეს", – განაცხადა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტმა თამარ ბაღაშვილმა.

„ჰამასის" მებრძოლების მიერ გასროლილი რაკეტები აეროპორტის მახლობლად ერთ-ერთ დასახლებაში ჩამოვარდა და აფეთქდა. (ნიუპოსტი)

*მეშვიდე გვერდიდან*

ნამდვილად იციან, სანამ რეგისტრაცია დასრულდება, რადგანაც ეს მყარი სტატისტიკაა? ამ ყველაფერს აქვს ერთი პასუხი: რომ არ გაიცეს შემდგომში სტუდენტებზე გრანტები და განსაკუთრებით სრული 100%-იანი დაფინანსება. საქართველოს ბიუჯეტში რომ ფულის დეფიციტია და ბიუჯეტში გარღვევაა, ეს ხომ ყველამ ვიცით და გუშინ გამოცდების ეროვნული ცენტრი ავრცელებდა ცნობას, რომ წელს უფრო მეტი ბავშვი დაფინანსდება, ვიდრე გასულ წელს საბიუჯეტო თანხებითო! ამაზეა ნათქვამი, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, რადგანაც საქმით ჩვენ სულ სხვა რაღაცას ვხედავთ და რამდენით დაფინანსდება, 50-70 პროცენტი? მაგრამ აქ ხომ საუბარია 100%-იან დაფინანსებაზე? ეს ყველაფერი, რაც დღეისთვის გაკეთდა, ერთი ხელწერითაა გაკეთებული, ვიმეორებ, რაც შეიძლება ნაკლები გრანტი გაიცეს წელს და მთელმა რიგმა ტელეკომპანიებმა, რომლებიც ეროვნულ გამოცდებს აშუქებდნენ, უკვე გამოთქვეს კიდეც ვარაუდები, რომ უმაღლესი გრანტები, ფაქტობრივად, არ გაიცემა, ყოველ შემთხვევაში იქნება ძალიან ნაკლები დაფინანსება, ამ დროს კი ეროვნული ცენტრი აცხადებს საპირისპირო რამეს. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ამ შემთხვევაში ჟურნალისტები არიან მართლები, მეც იგივეს ვამბობ და თქვენ კი არ დაგებადებათ იგივე აზრი?!.

**— კი მაგრამ, ბავშვების ზურგზე რატომ უნდა გადაიაროს ბიუჯეტის გარღვევამ?**

– ეგ მეც არ მესმის და სულ მაგას ვამბობ, ივანიშვილმა დააბრუნებინოს უკან 9 მილიონამდე პრემიები რომ აქვს აღებული მის ხალხს. სწორედ 9 მილიონია გამოყოფილი ამ ბავშვების დასაფინანსებლად, მეტი კი არა, 9-ს ცხრა მიემატება და ჩადონ 18-20 მილიონი ახალგაზრდების დაფინანსებაში.

**— ნეტა, ვინ არის ან ამის მთქმელი და ან — მომტანი...**

– ათასობით ხალხთან მაქვს შეხება და უნდა ვთქვა, რომ ყოფილ პრემიერს ჯერ კიდევ უზარმაზარი ნდობა აქვს ხალხში, რასაც ვერ ვიტყვით ვერც აღმასრულებელ და ვერც სასამართლო ხელისუფლებაზე. ამიტომ ეს თანხა უნდა მოატანინოს ამ ხალხს. გასაგებია, რომ ბიუჯეტში ნამდვილად გარღვევაა, მაგრამ მაინტერესებს, რეალურად თანხა რა იქნება ამ ბავშვებისთვის? რა გადაირიცხება მათ ანგარიშზე? თორემ ჩემზე კარგად არავინ იცის, ქაღალდზე დაწერილი თანხა – ერთია, მაგრამ მოიპოვოს და გადაანაწილოს სახელმწიფომ ეს თანხა სხვადასხვა უწყებებზე, ეს – მეორე. წეღანდელ თემას გავაგრძელებ და განსაკუთრებით მინდა შევეხო უნარების ტესტებს.

**— და რა მოხდა უნარების ტესტებზე ასეთი, რომ ამდენი ჩაჭრილია? ცნობილია, რომ წელს უნარების გამოცდაზე იყო სიახლეები: იყო 5 პასუხი, შეცვლილი იყო ქულათა დათვლის სისტემა, გამორიცხული იყო ალბათობით პასუხის არჩევა, ანუ ტესტმა სახე იცვალა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარმა აიწია (მაწყვეტინებს)...**

– მაგრამ აქამდე ყოველთვის ასე იყო, რომ ოთხი ვარიანტიდან ერთი ვარიანტი იყო ყოველთვის რთული. არადა, გამოცდების დღეებში გამოვლინდა, რომ I-IV ვარიანტი იყო ძალიან რთული და აქ ცენტრმა დასვა მინიმალური გადასალახი ქულა 24 და I-II ვარიანტი იყო შედარებით მარტივი და ამ ვარიანტებს კი მიაკუთვნეს 23 ქულა. უნდა დავსვა მთავარი კითხვა, რატომ გაკეთდა ეს? მათი თქმით, რადგან ვარიანტი რთულია, იმას შემდეგ ქულებს ვუმატებთო და მაინტერესებს, რა დაუმატეს? ყველაზე მეტი ჩაჭრილი არის სწორედ I-IV ვარიანტის ბავშვები. ზოგადად, ნებისმიერი ქვეყნის პრაქტიკაში, იქ, სადაც დაშვებულია სუსტი და რთული ვარიანტები, ასეთი რამ ხდება, რომ, როცა რომელიმე ვარიანტი რთულია, ხოლო რომელიმე – მარტივი, ამ დროს შეიძლება მანიპულირება: მარტივ ვარიანტებში ჩასვან ის ბავშვები, ვინც უნდათ, რომ მოახვედრონ საგრანტო სიაში, ხოლო რთულებში – ჩაყარონ „უპატრონო" ბავშვები.

**— ეს თქვენი მოსაზრებაა...**

– ვიმეორებ, მე არ ვამბობ, რომ მათ ეს ჩაიდინეს, მაგრამ, როცა სუსტ და რთულ ვარიანტს უშვებენ, მაშინ ამის გაკეთების საშუალება მოსულა. ზოგადად, ჩვენთან, საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს სახელმწიფო კონტროლი, არ არსებობს მუდმივმოქმედი კომისია, ან განყოფილება, რომელიც ამ ცენტრს გააკონტროლებს.




**„როდესაც კონკურსი ფაქტიურად არ არსებობს, როდესაც 9000 ვაკანტური ადგილია, რა აუცილებლობას წარმოადგენდა ტესტების ასეთი უსაშველო გართულება? როდესაც 45 ათასი ადგილია და 36 ათასი განცხადებაა, ხოლო აქედან კიდევ უამრავი ბავშვი იჭრება საატესტატო გამოცდაზე, რადგანაც ვერ აიღეს ატესტატები, ეს ბავშვები ხომ ისედაც ვერ გადიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. როცა იღებ 10 ათასამდე თავისუფალი ადგილს, ეს ხომ ყველაფერი ვაკანსიაა და რა აუცილებლობას წარმოადგენდა ტესტების ამდაგვარი გართულება?"**



**„ივანიშვილმა დააბრუნებინოს უკან 9 მილიონამდე პრემიები რომ აქვს აღებული მის ხალხს. სწორედ 9 მილიონია გამოყოფილი ამ ბავშვების დასაფინანსებლად, მეტი კი არა, 9-ს ცხრა მიემატება და ჩადონ 18-20 მილიონი ახალგაზრდების დაფინანსებაში"**

**„საქართველოს ბიუჯეტში რომ ფულის დეფიციტია და ბიუჯეტში გარღვევაა, ეს ხომ ყველამ ვიცით და გუშინ გამოცდების ეროვნული ცენტრი ავრცელებდა ცნობას, რომ წელს უფრო მეტი ბავშვი დაფინანსდება, ვიდრე გასულ წელს საბიუჯეტო თანხებითო! ამაზეა ნათქვამი, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, რადგანაც საქმით ჩვენ სულ სხვა რაღაცას ვხედავთ და რამდენით დაფინანსდება, 50-70 პროცენტი?"**



**„იცით, რომ აბიტურიენტებს წელს ამ გამოცდებზე დაემატათ ე.წ. „მოსმენით" ტექსტის დაწერა, მაგრამ ბავშვების სიტყვით, არსებობდა ორი უკიდურესობა, ერთი ის, რომ ტექსტი იყო ხარვეზით ჩაწერილი, ან გამაყრუებლად ხმამაღლა ისმოდა, ან — ზოგან პირიქით, ხმადაბლა. ანუ ტექნიკური წუნი ჰქონდა ამ ჩანაწერს"**

**კომენტარისთვის ვუკავშირდებით ეროვნული გამოცდების ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელს მაია გაბუნიას:**

– მანანა ნიკოლაიშვილი ამბობს, რომ უცხო ენის გამოცდაზე მოსმენითი ტექსტი ხარვეზებით იყო ჩაწერილი და ბევრი ბავშვი ამიტომ ჩაიჭრა.

– ქალბატონი მანანა ავრცელებს არასწორ ინფორმაციას და განგებ შეჰყავს აბიტურიენტები შეცდომაში, რადგანაც მსგავსი არაფერი ყოფილა. ასე რომ, ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ადამიანი მანიპულირებს ამ ადამიანების ემოციებით. მეტს არაფერს გეტყვით, ამით დავასრულოთ...

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება, ორი წლით გადავადდება



სასჯელის ერთ-ერთი ფორმის – თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება, ორი წლით გადავადდება. სასამართლოს თავისუფლების შეზღუდვის გამოყენების შესაძლებლობა 2015 წლის 1-ლი იანვრიდან ეძლეოდა, თუმცა პარლამენტს წარედგინა პროექტი, რომელიც შესაბამისი ნორმის ორი წლით – 2017 წლის 1-ელ იანვრამდე გადაწევას ითვალისწინებს.

ინიციატივა მთავრობას ეკუთვნის, რომლის განმარტებითაც, 2015 წლის 1-ელ იანვრამდე დარჩენილ დროში შეუძლებელია როგორც სრულწლოვან მსჯავრდადებულთა, ასევე ქალ და არასრულწლოვან მსჯავრდადებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების შექმნა – აშენება, ინფრასტრუქტურის მოწყობა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება. ჯერ-ჯერობით არც შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფის შესაძლებლობა არსებობს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განმარტებით, ამჟამად საპილოტე რეჟიმში მხოლოდ ერთი, სრულწლოვან მსჯავრდადებულთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება მოქმედებს, რომელიც მხოლოდ 100 მსჯავრდადებულზეა გათვლილი. (ინტერპრესნიუსი)

## ფოთის სანაპიროსთან ზღვაში 17 წლის ბიჭი დაიხრჩო



მაშველებმა მოზარდის წყლიდან ამოყვანა შეძლეს, ქალაქის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ეს უკვე მეორე ტრაგიკული შემთხვევაა. აღნიშნულის მიზეზად ადგილობრივები უსაფრთხოების ნორმების პრობლემურობას ასახელებენ. კერძოდ, როგორც თავად აცხადებენ, სანაპიროზე მაშველები ინტენსიურად არ პატრულირებენ.

„დავინახე, რომ ბავშვი წყალში გადახტა. სხვა ბავშვები წყლიდან ამოვიდნენ, ის კი – არა. გამოვიძახეთ მაშველები, მოვიდნენ, მოძებნეს და ამოიყვანეს, მაგრამ სასწრაფო დახმარების ბრიგადა არ მოსულა", – აცხადებს ერთ-ერთი თვითმხილველი. (ფრონტნიუსი)

## ახალციხის ცენტრში მამაკაცი დაჭრეს

ახალციხეში, ქალაქის ცენტრში 37 წლის მამაკაცი ცივი იარაღით დაჭრეს. ინციდენტი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. თვითმხილველების ინფორმაციით, მამაკაცს თავს 4 პირი დაესხა, თუმცა აღნიშნულს შს სამინისტროში არ ადასტურებენ. დაზარალებულს ჭრილობები მუცლისა და გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული. მედიკოსთა თქმით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია.

ჭიკაიძის უწყების ცნობით, ფაქტზე ერთი პირია დაკავებული. სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 118-ე მუხლით არის აძლრული. (ფრონტნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რა საკითხზე ითხოვენ ვარშალომიძის, უგულავას და თარგამაძის დაკითხვას

რაც უფრო მეტი დრო გადის, მით მეტი სიბინძურე ამოდის ქართული სინამდვილის ზედაპირზე. იყო ედუარდ შევარდნაძე, იყო ასლან აბაშიძე, ესენი რასაც წარმოადგენდნენ და როგორი კორუფცია იყო, ვიცით და გასაგებია, მაგრამ შემდგომში მიხეილ სააკაშვილის „ნაცბანდამ“ როგორ გადაინაწილა მილიონებად შეფასებული ანტიკვარული ქონება, ეს უკვე სხვა გლობალური თემაა.

როგორც ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, თამაზ ბაკურიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, „ნაცბანდამ“ იმ პერიოდში საგულდაგულოდ გაძარცვა აჭარის მეთაურის მიწისქვეშა საცავი, სადაც არნახული ქონება ინახებოდა:

– მე წინა ინტერვიუში, რომელიც „ალიაში“ გამოქვეყნდა, ვისაუბრე იმაზე, როგორ გაძარცვეს გიგი უგულავამ და გივი თარგამაძემ აჭარის უშიშროების სამინისტრო. ამის შემდეგ დამიკავშირდა ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი და მითხრა: მარტო ასლან აბაშიძის რეზიდენციიდან ამ ადამიანებმა გაიტანეს ფასდაუდებელი ანტიკვარული ნივთებიო. მე თვითონაც ვიცი, რომ იქ იყო ძვირადღირებული ნახატები, აქ ასეულობით მილიონ დოლარზეა საუბარი. მე არ ვიცი, რას აპირებს თავად ასლან აბაშიძე, შესაძლებელია, ეს ქონება მას თავადაც არ ჰქონდა აღრიცხული, ეს ქონება არ იყო ვინმეს ბალანსზე, მაგრამ უნდა მოიკითხოს პროკურატურამ.

**„იქ იყო ძვირადღირებული ნახატები, აქ ასეულობით მილიონ დოლარზეა საუბარი. მე არ ვიცი, რას აპირებს თავად ასლან აბაშიძე, შესაძლებელია, ეს ქონება მას თავადაც არ ჰქონდა აღრიცხული, ეს ქონება არ იყო ვინმეს ბალანსზე, მაგრამ უნდა მოიკითხოს პროკურატურამ“**

**— ხომ შეიძლება, კერძო საკუთრების სტატუსი მიენიჭოს?**

– ასლან აბაშიძე 2004 წელს ამ ქონებას კერძო საკუთრებად ვერ გამოაცხადებდა, მაშინ ესენი ეტყოდნენ, საიდან ამდენი ქონება და ანტიკვარული ნივთებიო? ასე ახალ ბრალდებას წაუყენებდნენ.

**— მაშინ რასთან გვაქვს საქმე, ქურდის ქურდი ცხონდაო?**

– ვერ გეტყვი, მე ვიცი ერთი რამ, ასლან აბაშიძის რეზიდენციაში გაცილებით ძვირადღირებული ქონება დახვდა გიგი უგულავას, ვიდრე უშიშროების სამინისტროში.

**— თამაზ, შენ ხომ ასლან აბაშიძის რეზიდენციაში ხშირი სტუმარი იყავი?**

– კი... ის რეზიდენცია შემდგომში ამათ საკონსტიტუციო სასამართლოდ გადააკეთეს და ახლა გიორგი პაპუაშვილი ზის მორჭმით.

**— ძვირადღირებულ ნახატებსა თუ ანტიკვარულ ნივთებს აბაშიძე სად ინახავდა, კედლებზე ჰქონდა განთავსებული?**

– არა, არა... როდესაც აბაშიძემ ჩაატარა შენობის რეკონსტრუქცია და გააკეთა საკმაოდ თანამედროვე რემონტი, მან ასევე გააკეთა მიწისქვეშა საცავი. სხვათა შორის, როცა „ნაცხროვა“ შემოვარდა სააკაშვილთან ერთად, მიშას მაშინვე უთქვამს, ასლანს კარგი გემოვნება ჰქონიაო. აბაშიძე, ფაქტობრივად, მაგ რეზიდენციაში ცხოვრობდა, საძინებელიც ჰქონდა, საწყობიც ჰქონდა, გარაჟიც და ძაღლსაშენიც. ახლა გარაჟისა და ძაღლსაშენის ადგილზე კაზინოა, ვიღაც უკრაინელმა მილიარდერმა ააშენა. მოკლედ, ასლანმა სპეციალურად გააკეთა მიწისქვეშა სათავსი, სადაც ინახავდა ამ ძვირადღირებულ ქონებას.

**— კონკრეტულად მიწისქვეშა სათავსში ნამყოფი ხარ?**

– კი, როცა აშენებდა, მაშინ ჩავდიოდი ხოლმე, მაგრამ, როცა მშენებლობა დაამთავრა, მე უკვე ასლანთან აღარ ვიყავი. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, მე არ ვიცოდე, იქ რა ხდებოდა და როგორ ხდებოდა. უკვე დროა, საგამოძიებო ორგანოებმა დაკითხონ ყველა ის პირი, ვინც ბოლო დრომდე იყო აბაშიძესთან. იქ ასევე იყო იარაღის ძალიან ძვირადღირებული კოლექცია. აბაშიძის გარემოცვამ ამ კოლექციის გადამალვა მოასწრო, მაგრამ შემდგომში „ნაციონალებმა“ მაინც იპოვეს, თითქოს სადღაც მიწაში იყო ჩამარხული და იპოვეს. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე თქვეს. მიხეილ სააკაშვილმა ისიც განაცხადა, ეს ყველაფერი გაიყიდება და ღარიბ ოჯახებს დავეხმარებითო. არაფერიც არ გაყიდულა, ახლა არავინ იცის, სად არის ეს კოლექცია, მე მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მთელი ქონება ამათ გადაინაწილეს. ამიტომ უნდა დაიკითხოს სააკაშვილიც, ვარშალომიძეც, უგულავაც, ბოკერიაც და თარგამაძეც. კიდევ ერთხელ ვსვამ კითხვას: სად წავიდა აღრიცხული თუ აღურიცხავი ასეულობით მილიონი დოლარის ქონება? ამათ ადგილზე თეფშები და ჩანგლებიც კი არ დატოვეს.



**„მიხეილ სააკაშვილმა ისიც განაცხადა, ეს ყველაფერი გაიყიდება და ღარიბ ოჯახებს დავეხმარებითო. არაფერიც არ გაყიდულა, ახლა არავინ იცის, სად არის ეს კოლექცია, მე მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მთელი ქონება ამათ გადაინაწილეს“**

ახლა გადავიდეთ შემდეგზე: ე.წ. აჭარის რევოლუციის დღეს ბათუმის აეროპორტში იდგა ავიაკომპანია „აჭარის“ კუთვნილი ორი „იაკ 42“ ტიპის თვითმფრინავი და 11 ვერტმფრენი. ეს ყველაფერი ღირდა 10 მილიონ დოლარზე მეტი. ასლან აბაშიძემ თავის დროზე ჩამოაყალიბა ავიაციის ინსტიტუტი, რომელიც განლაგებული იყო ქობულეთში. სხვათა შორის, ძალიან ბევრი ახალგაზრდა სწავლობდა ამ ინსტიტუტში, ხდებოდა დარგის აღორძინება, ეს ავიაკომპანია ძირითადად იყო სასწავლო ბაზა. რევოლუციის შემდეგ ამათ დაიბარეს კომპანიის დირექტორი, ნინო ალფაიძე და უთხრეს, ყველაფერი ჩვენ უნდა გადმოგვცე, უნდა გვაჩუქოო. ალფაიძე ცოტა პრინციპული ქალია, წინააღმდეგობა გაუწია და ეგრევე დააპატიმრეს. როცა ვერაფერი უნახეს, მერე აუშარდნენ, ბიუჯეტში 50 ათასი ლარი გქონია გადასახდელიო. ამან დაუდო დოკუმენტები, ბიუჯეტიდან 1 მილიონ 200 ათასი ლარი მაქვს მისაღები, იქით გაქვთ ვალიო. ამ ქალს სახელმწიფო დაკვეთები ჰქონდა შესრულებული და ანაზღაურება არ მისცეს, მაინც დაიჭირეს. ლევან ვარშალომიძემ, კახა ბენდუქიძემ, აწ გარდაცვლილმა ზურაბ ჟვანიამ და მიხეილ სააკაშვილმა ყველა თვითმფრინავი გააქრეს, 4 ვერტმფრენი ადგილზევე დაშალეს.

**— რას ჰქვია, დაშალეს?**

– გაუგებარია, სად წაიღეს. 2007 წლამდე საჯარო რეესტრში ეს თვითმფრინავები დაფიქსირებული იყო, მაგრამ შემდეგ იქიდანაც გაქრა, მონაცემთა ბაზაში აღარ იძებნება. აი, ასე მიითვისა „ნაცბანდამ“ სხვისი ქონება და გაანადგურა როგორც ავიაციის ინსტიტუტი, ასევე ავიაკომპანია „აჭარა“. ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, როგორ ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს ქონების მითვისება. ესენი კიდევ გამოდიან და ბევრს ლაპარაკობენ.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სახელმწიფოს ყველაზე ძვირი შალვა ფიფიას ავტომობილის შენახვა დაუჯდა



ორგანიზაცია IDFI 2013 წელს სამინისტროების მიერ ჩანაცვლებული ავტომობილებისა და მათი ტექნიკური მომსახურებისას გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს.

როგორც ორგანიზაციის განცხადებიდან ირკვევა, 2013 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 16 ძვირადღირებული ავტომობილი (საერთო ფასი, 856 800 ლარი) ჩაანაცვლა 874 500 ლარის ღირებულების 30 „შკოდა რაპიდ“ 1.6 მოდელის ავტომობილით.

ლტოლვილთა სამინისტროს შემთხვევაში ბალანსზე რიცხული 41 232 ლარის ღირებულების სამი ერთეული ავტოსატრასპორტო საშუალება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ჩანაცვლდა ოთხი 57 879 ლარის ღირებულების ავტომობილით. მათ შორის 2003 წელს გამოშვებული TOYOTA Landcruiser 4.5, 24V W „wagon“ ნარჩენი ღირებულებით – 18 232,39 ლარი, ჩანაცვლდა იმავე წელს გამოშვებული 28 538 ლარის ღირებულების BMW X5 მოდელის ავტომობილით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2013 წელს ორი ცალი ვაზ 21214, ღირებულებით 8 000 ლარი, ჩანაცვლდა ერთი ერთეული TOYOTA Landcruiser LC150 ღირებულებით – 84 545 ლარი.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილი Chevrolet Aveo ღირებულებით – 2 500 ლარი ჩანაცვლდა 20 091 ლარის ღირებულების Renault Logan მოდელის ავტომობილით.

რაც შეეხება ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს, 2013 წელს ყველაზე დიდი ხარჯი სოფლის მეურნეობის მინისტრის ავტომობილზეა გაწეული – 10 341 ლარი, ხოლო ყველაზე ცოტა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ავტომობილზე – 3 014 ლარი. (ნიუპოსტი)

## ნარმანიას შტაბი ზოოპარკის გადატანაზე განმარტებას აკეთებს



თბილისის მერის დავით ნარმანიას შტაბი თბილისის ზოოპარკის გადატანასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებიდან ირკვევა, ზოოპარკის თბილისის ზღვაზე გადატანის ინიციატივა ნამდვილად განიხილება, მაგრამ ამ ეტაპზე იდეა მხოლოდ კონცეპტუალურ დონეზე არსებობს.

„უკანასკნელი დღეების განმავლობაში სოციალურ ქსელებსა და მედიასაშუალებებში ვრცელდება თბილისის ახალი ზოოპარკის პროექტი, რომელიც თბილისის ზღვის ტერიტორიაზე განთავსდება. ზოოპარკის თბილისის ზღვაზე გადატანის შესახებ ინიციატივა ნამდვილად განიხილება, თუმცა, ამ ეტაპზე აღნიშნული იდეა მხოლოდ კონცეპტუალურ დონეზე არსებობს.

რაც შეეხება კონკრეტულ პროექტს, გამოცხადდება ღია კონკურსი, რის შემდეგაც გამოვლინდება საუკეთესო პროექტი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება მისი განხორციელება. კონკრეტულ დეტალებთან დაკავშირებით ინფორმაცია დაინტერესებულ საზოგადოებას მერის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ მიეწოდება“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


# რას ყვება „კაზანტიპის“ ორ ფესტივალში მონაწილე ქართველი



**„კაზანტიპი“, ელექტრონული მუსიკის ფესტივალი, რომელიც ამ დრომდე ყოველწლიურად ყირიმში იმართებოდა, წელს 20-30 აგვისტოს ანაკლიაში ჩატარდება. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის განმარტებით, მათი გათვლაა, რომ უკრაინელი ტურისტების რაოდენობა გაიზარდოს.**

**რა პროექტია ეს? როგორია მისი შინაარსი და რატომ აქვს საზოგადოებას მის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება?**

**„ალიას“ ესაუბრა ირაკლი ლატარია, რომელიც ამ ფესტივალს ორჯერ დაესწრო:**

– წინასწარ იწერებოდა, რომ იწყება ფესტივალი „კაზანტიპი“, მაგრამ როგორც ფესტივალს, უკრაინაში მას ნაკლებად იცნობდნენ. მათთვის ეს ფესტივალი ცნობილია, როგორც „გულიანკა“, სადაც თავს იყრიდა თითქმის ყველა დიჯეი, ვინც კი ცნობილია უკრაინაში. იქ იყო ყველა წამყვანი კლუბის, სტრიპტიზბარის წარმომადგენელი... მოკლედ, 30 ივლისიდან, თუ ზუსტად მახსოვს, აგვისტოს ბოლომდე იყო ეს „გულიანკა“. ამ პერიოდში, კიევში თუ სადმე კარგი კლუბი იყო, ხსნიდნენ თავიანთ კლუბს სანაპიროზე. უკრაინა, ზოგადად, ცნობილია ქვეყნად, სადაც უამრავი ადამიანი ჩადიოდა დროს გასატარებლად, ვინც იცოდა „კაზანტიპის“ არსებობა, ისინი ჩადიოდნენ იმიტომ, რომ მიეღოთ ღამის ცხოვრების სიამოვნება. უამრავი ქვეყნიდან ჩამოსულან სტუმრები, მე პირადად იქ შემხვედრიან გერმანელები, ჩეხები, ამერიკელები, ესპანელები, თურქები, რომლებსაც თავიანთი ბარები თუ სასტუმროები ჰქონდათ. წამყვანი კლუბების მფლობელები, დიჯეები, მოცეკვავეები, ქმნიდნენ სანაპიროზე გართობის უმაღლეს მწვერვალს. მანდ იყო ყველანაირი გართობა და ყველანაირი ადამიანი.

**— ფასები როგორი იყო?**

– დაახლოებით 200-დან 300 დოლარამდე მერყეობდა ვიზა. ანუ, გააჩნია რომელ პერიოდში, საჭმელებსა და ბარებს რაც შეეხება, საკვები, რომელიც დაგანაყრებდა, დაახლოებით 60 დოლარი ჯდებოდა. გამაგრილებელი სასმელები ღირდა ძვირი, ძალიან ძვირი იყო ალკოჰოლური სასმელი.

**— უსაფრთხოების საკითხი როგორ იყო, დაცვა ჰყავდა?**

– რაც შეეხება უსაფრთხოებას, გარეთა პერიმეტრზე თითქმის ყოველ 10-20 მეტრში იდგა პოლიციელი, მაგრამ არაფერს გეუბნებოდა, უბრალოდ, შემოლობილივით ჰქონდათ.

**— კი მაგრამ, „კაზანტიპი“ ელექტრონული მუსიკის ფესტივალიაო და მისი ტურიზმთან მიბმა რას ნიშნავს?**

– უამრავი ტურისტი ჩადიოდა უკრაინაში და რატომ ჩადიოდა? იმიტომ, რომ ერთ პატარა ტერიტორიაზე, განთავსებულია ყველანაირი გართობა და ბუნებრივია, ძალიან სასიამოვნოა. ძალიან კარგი სანახაობებია და გართობა არის, უმაღლესი დონის. თუ მსოფლიო გაიგებს, რომ ანალოგი ტარდება საქართველოში, ანუ იქნება ის, რაც იყო უკრაინაში, დარწმუნებული ვარ, უამრავი ადამიანი ჩამოვა აქაც. უამრავი ტურისტი. ჯერ არ დაწყებულა და მე პირადად, უკრაინელი მეგობრები მწერენ, როგორ ელოდებიან ანაკლიის გახსნას, უბრალოდ, ვერ წარმოიდგენთ. რაც შეეხება, აქ ნარკოტიკი იქნება დაშვებულიო, ეგ შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ ახლაც ჩვენს კლუბებში, ბარებში ან სადმე გასართობ დაწესებულებებში იყიდება.

უამრავი ადამიანი ვიცი, ვინც იძახის, ნეტავ, „კაზანტიპზე“ რა მოხდებაო? ყველაფერი იქნებაო? ხო, მაგრამ, როგორ უნდა იყოს ყველაფერი? კაი, დავუშვათ და იყო, ანუ იქ წასული ადამიანი მზად უნდა იყოს, რომ, როგორც კი დაბრუნდება, დაიჭერენ? უკრაინა ნამდვილად არ იყო ქვეყანა, სადაც პრობლემა იყო რაიმეს ყიდვა. ჩემი უამრავი ნაცნობი სწორედ მაგიტომაც მიდიოდა კიევში, რომ იქ შოულობდა. ვინც იყო კიევში, ისინი წავიდნენ „კაზანტიპზე“. თუ ეხლა სადმე არის, ნარკოტიკები, რაც არ გამიგია დიდი ხანია, მით უმეტეს ახლა... მხოლოდ ეს 3 ტონის ფაქტი ვიცი, რომელიც ამას წინათ შსს-მ აღმოაჩინა. მაშინ ესენი წავლენ იქ, სადაც ბევრი ხალხია, ასევე შეიძლება ბათუმის ჯაზფესტივალზეც წავიდნენ გამყიდველები. ლოგიკურად თუ შევხედავთ, სერიოზული პიარი არის ქვეყნისთვის. ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთს დაასწრეს და სამეგრელოში გაიმართება ის, რაზეც მთელი ევროპა საუბრობდა ყოველთვის. ადგილი, სადაც შეიძლება ყველა ადამიანმა მიიღოს უდიდესი სიამოვნება. სხვა საკითხია, ამას როგორ შეხედავს საზოგადოება.

**— ბევრი უკრაინელი ლამაზმანი ჩამოდის ამ ფესტივალზეო, მართალია. რას ამბობენ შენი უკრაინელი მეგობრები?**

– უამრავი მოცეკვავე ჰყავდათ „კაზანტიპზე“ ხარკოვიდან, ბევრი გოგო გავიცანი მოცეკვავეები და ისინი ასე იძახდნენ, რომ შეჯიბრებისთვის ჩამოვედითო, ანუ როგორც მოცეკვავეების ფესტივალი, ისე იყვნენ, თუნდაც სტრიპტიზის მოცეკვავე გოგონები. მე პირადად იალტაში ვცხოვრობდი, დაახლოებით 25 წუთი უნდოდა „კაზანტიპამდე“ ჩემი სანაპიროდან, მაგრამ ყოველდღე იქ ვიყავი და ტარდებოდა შეჯიბრებები, კონკურსები ცეკვებში, სტრიპტიზი...

რაც შეეხება „ნაშობას“, რომელზეც ბევრს საუბრობენ ჩვენი ახალგაზრდები, ეგ არც „კაზანტიპის“ გარეშეა პრობლემა არსად, მაგრამ კარგია, როდესაც უამრავი ლამაზი ადამიანი ეწვევა ჩემს ქვეყანას და აქ რას იზამენ, ეს მათი საქმეა. კი, მაგრამ მანდ რა შუაშია ტურიზმიო, კითხვას სვამენ ხოლმე. ტურიზმი არის, დასვენება, მოგზაურობა და თავისუფალი დროს დახარჯვა, ასევე ბიზნესის განვითარებაც. მაგ დროს, ეგეც ტურიზმია. თავისუფალი დრო, შვებულება ავიღოთ, მაგალითად, უნდა გაატარო იქ, სადაც უკეთესი პირობებია და უკეთესი შემოთავაზებები. „კაზანტიპზე“ კი, ყველაფერი ერთად იყო. კლუბებიც, როგორც სანაპიროზე და იახტები, რომლებშიც დისკოთეკები იმართებოდა, თვითონ სანაპიროზე რომანტიკული გარემო იყო შექმნილი. მგონი, ეგ არის სწორედ დასვენება და კარგი დროსტარება.

**— ხშირად მომისმენია, ნარკოტიკებით გაივსება ანაკლიაო. იქ როგორ იყო ამ მხრივ საქმე?**

– რაც შეეხება ნარკოტიკს, მე პირადად არ ვარ მომხმარებელი, მაგრამ ეგ თემა ისეთია, სხვა უამრავ კლუბშიც იშოვიდი მაგას უკრაინაში, როგორც ოდესაში, ასევე კიევშიც და სხვა ქალაქებშიც. რახან ვამბობ, რომ, წამყვანი კლუბების მფლობელები ჩადიოდნენ თავიანთი პროგრამებით, რახან პატარა ტერიტორიაზე იყო თავმოყრილი ყველაფერი ერთად, უფრო ჩანდა, ალბათ, და ადვილად ხელმისაწვდომიც იქნებოდა.

თუ თბილისში არის კლუბებში და იყიდება, ბუნებრივია, იქნება მანდაც, ყველგან, სადაც ბევრი ხალხია... მაგრამ მე ერთი ვიცი, რომ უამრავი ახალგაზრდა საუბრობს მხოლოდ ქალებზე და არავის უხსენებია ჯერ ნარკოტიკი. იმდენად დაშინებულია ხალხი ნარკოტიკზე, მგონი, რომც დაარიგონ, არ გაეკარებიან. მხოლოდ მარიხუანის დეკრიმინალიზაციას ითხოვს საზოგადოების ნაწილი და მარიხუანა იქნება თუ არა, არ ვიცი, არ ვიცი, რომც იყოს, რა მერე? მთელი „კაზანტიპი“ უნდა დაიჭირონ, იქიდან ვინც დაბრუნდება?



**„ალია“ ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, გიორგი სიგუას დაუკავშირდა, გვაინტერესებდა, რა ფასები იქნება ფესტივალზე, როგორი მომსახურება იქნება, უსაფრთხოების საკითხები რამდენად იქნება დაცული და ა.შ. თუმცა სიგუამ პასუხისმგებლობა მოიხსნა:**

– მე ორგანიზატორი არ ვარ, ისინი არიან ორგანიზატორები, ვინც ამ ღონისძიებას აკეთებენ 22 წელიწადია. შეხვალთ „კაზანტიპის“ ვებგვერდზე და რაც გაინტერესებს, დეტალურად ნახავთ.

**— უსაფრთხოების საკითხი როგორღა იქნება, ესეც უკრაინელმა ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ?**

– უსაფრთხოების თვალსაზრისით ქართულ პოლიციას არანაირი პრობლემა არ აქვს და ისინი უზრუნველყოფენ. ჩვენ სხვა დეტალებს ვერ დავადგენთ, დეტალები მათ საიტზე ნახეთ.

**სიგუას მიერ მითითებულ საიტზე „კაზანტიპა.უა“-ზე შევედით და გავარკვიეთ, რომ ბილეთის ფასები მთელი ფესტივალის მანძილზე მოქმედებს და ის 203-დან 232 დოლარამდე ღირს პერიოდის მიხედვით და მთელი ფესტივალის მანძილზე ძალაშია. ქართველმა და უკრაინელმა გოგოებმა მარტო რეგისტრაცია უნდა გაიარონ ინტერნეტით. საიტის მიხედვით, დანარჩენი ინფორმაციები პერიოდულად დაემატება.**

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის 200-ზე მეტ უსახელო ქუჩას სახელი დაერქვა



საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ თბილისში 200-ზე მეტ უსახელო ქუჩას სახელი მიანიჭა.

საჯარო რეესტრის ცნობით, საკრებულოსა და სააგენტოს თანამშრომლობის შედეგად, ათასობით თბილისელმა მოქალაქემ შეძლო ქონების რეგისტრაცია, პირადობის მოწმობისა და სხვა დოკუმენტაციის კანონთან შესაბამისობაში მოყვანა, უმისამართო და დაუნომრავ უძრავ ქონებას მისამართი მიენიჭა.

აღსანიშნავია, რომ შეცვლილი მისამართების გამო, თბილისის მაცხოვრებლებს დოკუმენტაციის ხელახლა აღება არ მოუწევთ. საჯარო და სამოქალაქო რეესტრების ბაზებში შენახულია როგორც ძველი ინფორმაციები, ისე კორექტირებული მონაცემები.

„დამისამართების სისტემის სრულყოფა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც ქალაქგეგმარებას, შენობის, ქუჩის მიგნებასა და აღქმას, ასევე ისეთი მომსახურებების მიწოდებას, როგორიცაა პიროვნების, ნაკვეთის, შენობისა და ბინის რეგისტრაცია, სოცდახმარებების ადმინისტრირება, ფოსტა, სახანძრო, სამართალდაცვითი ღონისძიებები, სასწრაფო დახმარება და სხვა“. – აცხადებენ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

სამისამართო სისტემის შექმნის პროექტით, საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში უსახელო გზები და ქუჩები გაქრება. ყველა დაბისა თუ სოფლის სავალ ნაწილს საკუთარი სახელწოდება ექნება, შენობები კი დაინომრება, რაც ნავიგაციის სისტემის სრულყოფას შეუწყობს ხელს. (ნიუპოსტი)

## რა გეგმები აქვს კულტურის მინისტრობის კანდიდატს მიხეილ გიორგაძეს



კულტურის მინისტრის თანამდებობაზე პრემიერმა „ისთერნ პრომოუშენის“ გენერალური მენეჯერი მიხეილ გიორგაძე წარადგინა.

„შეთავაზება მივიღე. მე და პრემიერმა კულტურის სამინისტროსთან დაკავშირებით ზოგადად ვისაუბრეთ. კონკრეტულ გეგმებზე, ვერაფერს ვიტყვი. უნდა ჩავიხედო სტრუქტურაში, გეგმებში, ჩვენი ხედვა უნდა წარმოვადგინო და მხოლოდ ამის შემდეგ შემეძლება კონკრეტულ რეალურ საქმეებზე საუბარი. სიურპრიზი არავისთვის იქნება ის, რომ ბევრად უფრო წარმატებულად განხორციელდება ის გეგმები იმ გუნდთან ერთად, რომელთანაც წლების განმავლობაში მოვდივარ, უამრავი დიდი პროექტი გვაქვს ერთად განხორციელებული, უამრავი ძნელი პერიოდი გავლილი, ერთი მსოფლმხედველობის ხალხი ვართ, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩემს გვერდით აუცილებლად უნდა იყოს ჩემი გუნდი. ბევრად უფრო აქტიური როლი უნდა დაიკავოს კულტურის სამინისტრომ, ვფიქრობ, აქამდე საკმაოდ პასიური იყო, ინიციატივის მატარებელი უნდა იყოს კულტურის სამინისტრო, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. უფრო კონკრეტულს ახლა ვერაფერს გეტყვით, გარკვეულწილად ჩვენს ხედვას 26-ში წარვადგენთ“. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





ერთადერთი და უაპელაციო. უბედურ შემთხვევაზე მხოლოდ მწუხარე სპეკულაციაა შესაძლებელი. ჩემის აზრით ეროსი კიწმარიშვილი მოკლულია, შეკვეთილი მკვლელობით და მისი მკვლელობა უდაოდ უკავშირდება „რუსთავი 2"-ის წინააღმდეგ ნახევრად ფარულად მიმდინარე წართმევის კამპანიას. დავალაგოთ ფაქტები და მოვლენები. რაც ყველასათვის ცნობილია: 1. ივანიშვილი და მისი ხელისუფლება უდაოდ დაინტერესებულია „რუსთავი 2"-ზე კონტროლის აღებით. ეს დასტურდება მისი და მისი გუნდის არაერთი განცხადებით (უკანასკნელი იყო კახი კალაძის განცხადება რომ ტელევიზია მალე „კანონიერ მფლობელს" დაუბრუნებდა). 2. პროკურატურის მიერ ვარი – რომ მაშინდელ მფლობელისთვის გადახდილი თანხა მას ეკუთვნოდა (ეს უკანასკნელი მისი რწმენაა, რადგან ის მაშინ საქართველოს სახელმწიფოს, მთავრობის სახით, ფინანსებით ეხმარებოდა. თუმცა მაშინ საქართველოს მთავრობას ეხმარებოდა უნდპ, ოსგფ (სოროსის ფონდი) და სხვები. ივანიშვილის ლოგიკას რომ მივყვეთ, 2004 წელს მთავრობის ყველა კონტრიბუტორს შეუძლია „რუსთავი 2"-ზე პრეტენზიის გამოთქმა, მაგრამ მისი ლოგიკა სხვა საკითხია – მას ასე სწამს. ამასთავანვე ივანიშვილს „რუსთავი 2" გამარჯვებულის „ტრაფეი"-ად, ანუ ნადავლად მიაჩნია. ის რომ ივანიშვილი თვლის, რომ „რუსთავი 2"-ში ფული უკვე გადახდილი აქვს და არ აპირებს ერთი და იგივე ნივთი ორჯერ იყიდოს, მან რამდენჯერმე გაუმეორა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს სააკაშვილს, რაზედაც პასუხად მიიღო რომ ვერც ხვდება რაზე ელაპარაკებოდა. ეს ფაქტი და ივანიშვილის ეს განწყობა დამიდასტურა მაშინდელმა შსს მინისტრმა ღარიბაშვილმა ერთ-ერთ შეხვედრაზე. ისიც პირ აბარებს ანგარიშს ივანიშვილის „საყვარელ დეიდაშვილ" უჩა მამაცაშვილს. შესაბამისად ივანიშვილის გეგმა ნათელია. ის არ აპირებს „რუსთავი 2"-ში შევარდნას როგორც პუტინი ომონით შევარდა НТВ-ში („იმედის" ანალოგია უადგილოა, რადგან იქ კონკრეტული წინაპირობები არსებობდა). ის აპირებს წავიდეს სასამართლოს გზით და პროცესებს სწორედ მაშინ დაამთავრებს, როცა სასამართლოზე კონტროლს აიღებს ანუ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში. ამ გეგმას ერთადერთი მუხრუჭი ჰქონდა და ეს იყო ეროსი კიწმარიშვილი, ეროსისთან მოლაპარაკება ივანიშვილს არ სურდა პიროვნული შეუთავსებლობის გამო, არნახულად დიდი თანხის გამო, რასაც ეროსი მას ტელევიზიაზე კონტროლს დაუფასებდა ან სულაც უარს ეტყოდა. რაც მთავარია ივანიშვილი თვლის, რომ მან თანხა ამ საქონელში უკვე გადაიხადა და ის ერთს და იმავე ნივთს ორჯერ არ ყიდულობს. ეროსი კიწმარიშვილის გარეშე ეს გეგმა ვერ მოვიდოდა მოქმედებაში, ხოლო ეროსისთან ერთად ბიძინა ივანიშვილი

# „ბიძინა ივანიშვილი თვლის, რომ „რუსთავი 2" მისია"

## ახალი დეტალები „რუსთავი 2"-ის საქმეზე

**თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა „რუსთავი 2"-ის შესახებ ციხიდან საგანგებო განცხადებას ავრცელებს:**

**პირველ რიგში მინდა მივუსამძიმრო ეროსი კიწმარიშვილის ოჯახს და ახლობლებს! ეს თავზარდამცემი ტრაგედიაა!**

არ ვაპირებ მარჩიელობას და ცხადია, ვერც დანამდვილებით შევძლებ რაიმე ვამტკიცო. ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ სამი შესაძლო სცენარიდან – თვითმკვლელობა, უბედური შემთხვევა და მკვლელობა – პირველი ყველაზე ნაკლებად სარწმუნოა. არადა გამოძიებამ (მთავრობასთან შეხმატკბილებულად) სწორედ ეს ვერსია შესთავაზა საზოგადოებას, როგორც დაწყებული „გამოძიება" „რუსთავი 2"-ის გარშემო დიდი ხანია ფარულად მიმდინარეობს. ეს თავად პროკურატურამ აღიარა, როდესაც სააკაშვილის დაკითხვაზე დასაბარებლად საქმეების სია გამოაქვეყნა. ახლა ის რაც ყველამ არ იცის. საქმე შემდგომში მდგომარეობს – ბიძინა ივანიშვილი თვლის რომ „რუსთავი 2" მისია და არა აწ განსვენებული კიწმარიშვილის, დვალის, აქიმიძის, ქიბერ ხალვაშის თუ ყარამანიშვილის. ის ამას თვლის ორი, მისთვის უდავო, ფაქტის გამო: 1) რომ მან 2004 წელს „აჩუქა" „რუსთავი 2"-ს მის მფლობელობაში მყოფი ტელეკომპანია „მეცხრე არხი". (ტექნიკური აღჭურვილობით თუ არ აღემატებოდა არ ჩამოუვარდებოდა მაშინდელ „რუსთავი 2"-ს) 2) მთფაქტია, რომ დანარჩენ ორ მფლობელთან დავით დვალთან და ჯარჯი აქიმიძესთან ივანიშვილის ხელქვეითებს „უკვე ყველაფერი დალაგებული" აქვთ. ამასობაში, იმისთვის რომ ეს საქმე „იუველირული სიზუსტით" წარიმართოს აუცილებელია სასამართლოზე სრული კონტროლი, რასაც ივანიშვილის გეგმით 2015 წლის თებერვლიდან გახდება შესაძლებელი, როცა ამჟამინდელ უზენაეს სასამართლოს თავჯდომარე კოტე კუბლაშვილს გასდის უფლებამოსილების ვადა. ამ საკითხზე სასამართლოსთან კომუნიკაციის ნაწილი ისევე როგორც ე.წ. გამოძიება აბარია დღევანდელ მთავარ პროკურორის პირველ მოადგილეს ირაკლი შოთაძეს, რომელიც ამ თემაზე პირდაამას არ და ვერ განახორციელებდა. დღეს ეროსი აღარაა ცოცხალი......... მრავალ წერტილი მრავლის მთქმელ დუმილს ნიშნავს. სწორედ ეს დუმილი მოიყვანს ქვეყანას სამწუხაროდ უფსკრულამდე.

**P.S. ჩემს მიერ მოყვანილი ფაქტების ნამდვილობის დადასტურება ცხადია გამიჭირდება. მაგრამ ჩემი თანამდებობა და მდგომარეობა მაძლევდა საშუალებას ვყოფილიყავი ამა თუ იმ მოვლენის ეპიცენტრში და მქონოდა შესაბამისი ინფორმაცია. რასაც ვამბობ სრული სიმართლეა.**

კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ გარდაცვლილის ახლობლებს. გიგი უგულავა აბუსერიძეტბელის ქ. 11 №9 ბინადარი. (პირველი რადიო)

# ანი ნადარეიშვილის საგანგებო განცხადება

ბაჩო ახალაიას მეუღლე, ანი ნადარეიშვილი საგანეგბო განცხადებას ავრცელებს:

„სერიოზული მედია-შემოტევა მიმდინარეობს ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ!!! ვინაიდან პროკურატურა ვერაფერს გახდა, რამე ხომ უნდა ილონონ, ხოდა მოკლედ რამდენიმე მარაზმატიკული ნიუსი ვრცელდება ერთდროულად, რომელსაც ქართული ოცნების მხარდამჭერები დიდი სიხარულით ატრიალებენ სოციალურ ქსელებში:

1. „ბაჩო ახალაიას სიმამრის სახლში რუსები ცხოვრობდნენ" - პირველ რიგში ბაჩო ახალაიას ამ სახლთან არანაირი შეხება არ აქვს, ეს სახლი მამაჩემის გარდაცვალების მერე გაქირავდა 2004 წელს, მაშინ, როდესაც ბაჩო ახალაიას მე საერთოდ არ ვიცნობდი, მეორეც, ეს არის ერთადერთი ქონება (ერთსართულიანი ძველი ბელეტაჟის ტიპის სახლი, 3 ოთახით და სამზარეულოთი, მდებარე ნადარეიშვილის ქუჩა №14-ში) რომელიც მამაჩემმა დაგვიტოვა, მიუხედავად იმისა, რომ „პრივატიზაციების" დროს იგი საქართველოს ვიცე-პრემიერი იყო. ამ სახლში ქირაით ცხოვრობდნენ ჯერ ლიტვის ელჩი, შემდეგ ესტონეთის ელჩი და 2009 წელს სახლის ქირაობის სურვილი გამოთქვა რუსეთის წარმომადგენელმა, რომელსაც ფარავს შვეიცარიის საელჩო, რაზედაც დედაჩემმა უარი განაცხადა, ვინაიდან თამაზის ნაცხოვრებ სახლში, იქ სადაც იცხოვრა და გარდაიცვალა მის მტრებს არ ვაცხოვრებო. უშიშროების სამსახურმა აუხსნა რომ სახელმწიფოსთვის ესე იყო აუცილებელი და სახლი მათ მიქირავდა, დანარჩენი საიდუმლოა და ამაზე არ ვილაპარაკებ, რაც არ უნდა ცილი დაგვწამოთ ჩვენს ოჯახს რაღაც სიბინძურეებში, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მეტს ვერაფერს ვიტყვი და ჩემს პირად ინტერესებს სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა არასოდეს დავაყენებ!

2. მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ მომღერლებს, რომლებსაც იბარებენ მოდულში დაკითხვებზე, სხვადასხვა ღირსშესანიშნავ თარიღებში ერიცხებოდათ თანხა მათი მომსახურეობისთვის, მათ შორის ერთ-ერთ თარიღად სახელდება 24 ოქტომბერი – ბაჩო ახალაიას დაბადების დღეს! სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბაჩო ახალაიას არათუ თავისი ან მისი ოჯახის წევრების დაბადების დღეები არ გადაუხდია არასოდეს, არამედ სხვის პომპეზურ დაბადების დღეებზეც არასოდეს არ დადიოდა!



3. მედიით დღეს გავრცელდა ასევე ინფორმაცია, რომ ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ოთარ ორჯონიკიძე იყო ბაჩო ახალაიას მარჯვენა ხელი. ეს ორჯინიკიძე, რომლის სახელი და გვარი დღეს პირველად გავიგე და როგორც ეხლა გავარკვიე მთელი ცხოვრება იყო შს სამინისტროს თანამშრომელი, არ ვიცი რა კუთხით უნდა დაუკავშირონ ბაჩოს მარჯვენა ხელს ან ფეხს, მაგრამ ესეთი რაღაცეები ადამიანებს უკვე აღარ აინტერესებთ, მთავარია სტატიის სათაური წაიკითხეს...

და ბოლოს მივმართავ ყველა მედია საშუალებას, ჩვენ გვყავს შვილები, მათ შორის თინეიჯერები, რომლებიც ამ თქვენს დაწერილ სიბინძურეებს კითხულობენ და განიცდიან, ისედაც სტრესულ მდგომარეობაში მყოფნი! წარმოიდგინეთ თქვენი შვილები მათ ადგილას! გთხოვთ ყველას ვისაც პრეტენზია გაქვთ ობიექტურობაზე, გადაამოწმოთ ყველა ინფორმაცია ჩემთან, არასოდეს დაგზარდებით გაგცეთ პასუხი და მოგაწოდოთ სწორი ინფორმაცია ნებისმიერ თემაზე! ნუ დაწერთ შეკვეთილ სტატიებს და ნუ გაავრცელებთ ჭორებს!", – წერს ნადარეიშვილი. (პირველი რადიო)

ეროვნების უფლება“



## რა წერილი მიიღო ეკა ხოფერიამ სავაშთან დაკავშირებით



როგორც ცნობილი გახდა, თურქი მსახიობი მურატ ილდირიმი (სავაშ ბალდარი) საქართველოს აგვისტოში მეორედ ეწვევა. ამის შესახებ განცხადება ტელეწამყვანმა ეკა ხოფერიამ „ფეისბუკზე“ გააკეთა. ამ განცხადებას, როგორც ირკვევა, გამოხმაურებაც მოჰყვა, საკმაოდ მკაცრი ტონით... აი, რას წერს ეკა ხოფერია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე:

– ეს წერილი მივიღე ინბოქსში. 2 რამეს დავწერ მხოლოდ: 1. არ ვაპირებ და არც ვგეგმავდი გადაცემის გაკეთებას; 2. ჩემი აქტივობა მოწოდებული იყო მხოლოდ იმისკენ, რომ ამ სტუმრის გამასპინძლების ორგანიზება გამეკეთებინა „სითის“ საშუალებით და ამით დავხმარებოდი ჩვენს ფონდს. დანარჩენი კომენტარი და შეფასებები თქვენთვის მომინდვია)))

წერილი მკაცრი ტონით (სტილი დაცულია):

„ქალბატონო ეკა, ეს მურატ ილდირიმი, თქვენ რომ სავაშით მოიხსენიებთ, ჯერ ეს ერთი სახელით მიმართეთ, საკმაოდ კულტურულად ახსნა ამ ბიჭმა, რომ არ უყვარს, როცა ამ სავაშით მოიხსენიებენ, რადგან მისი მნიშვნელობა „ომს“ ნიშნავს, მეორეც ისედაც 2 დღით ჩამოდის ბათუმში, სადაც მივდივართ მისი ფან ჯგუფი შესახვედრად. ასევე, ამ „დიტო ცინცაძის“ საქველმოქმედო ფონდის წევრები ვართ. ახლა რომ არ გადმოგეპატიჟებინათ თბილისში, სხვა დრო ვერ იპოვეთ? ისედაც ერთი გაბანება დარჩა:)). რატომ ვიცით ქართველებმა არაფრისგან დიდი ქაოსის შექმნა? გასაგებია, რომ თქვენი გადაცემის პრესტიჟისთვის და რეიტინგისთვის ზრუნავთ, მაგრამ ისეც უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენი გადაცემა, რომელიც მეც ძალიან მომწონს, უფრო ყურებადი და მოსაწონი გახდება სხვისი დაკნინების გარეშე, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება მიწვეულ სტუმარს, მისი ინტერესიც უნდა გაითვალისწინოთ, როგორც ვიცი, ეს ტევეგადაცემები ისევ ხალხს ემსახურება და თქვენი გადაცემის რეიტინგიც ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. ეს პაექრობები როდემდე უნდა გაგრძელდეს? იფიქრეთ ქართველ მოსახლეობაზეც, თქვენი იმიჯი ისევ ჩვენს – მაყურებლის ხელშია!“

*newposts.ge*

## ქეთა თოფურიამ თავისი სილამაზის საიდუმლო გაამხილა



ქეთას კარგ გემოვნებასა და გარეგნობაზე რუსეთში ხშირად ლაპარაკობენ. ხშირად ეკითხებიან ასევე რჩევებს და იმას, როგორ ახერხებს სულ ფორმაში ყოფნას.

– დილას ვიწყებ ჭიქა წყლით, საუზმეზე შვრიის ფაფას გეახლებით ან ხაჭოს არაჟნით, ხანდახან, პურსაც. სადილად – სალათს, ხორცს ან თევზს. წავიხემსებ ხოლმე მწვანე ვაშლით. საღამოს შეიძლება, ცოტა ხორცი ან თევზი მივირთვა, ოღონდ არა შემწვარი, – აცხადებს ქეთა თოფურია. ნამდვილად ჯანსაღი მიდგომაა რაციონისადმი, არა?

*etanews.ge*

## გოგა ონიანი: „რუსეთის ესკადრილიაც რომ ჩამოიყვანოთ, მიხეილ სააკაშვილს მაინც არ დაგაჭერინებთ“



სამი პროკურორი კი არა, რუსეთის ესკადრილია რომ ჩამოიყვანოთ, საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მაინც არ დაგაჭერინებთ – ამის შესახებ ადვოკატი გოგა ონიანი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ წერს.

მისივე თქმით, პუტინს, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის დაჭერით, სიამოვნების მინიჭების უფლებას არ მისცემენ.

– დღეს არ არის საუბარი იმაზე, ჰქონდა თუ არა შეცდომები ამ ადამიანს, აქ საკითხი დგას, პუტინი შეძლებს თუ არა თავისი ოცნების ასრულებას. მე პირდაპირ გეუბნებით, რომ ვერ შეძლებს, ქართული სახელმწიფო აუცილებლად განაგრძობს განვითარებას და დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს განვითარებული მსოფლიოს გვერდით, ხოლო პოლიტიკური დევნის გზით ხელისუფლება მიიღებს ჯოჯოხეთს და მათ ამ განაჩენს გამოუტანს ქართველი ხალხი, – წერს ონიანი სოციალურ ქსელში.

*geonews.ge*

## განო მელითაური: „იურმალა რა სამარცხვინოა!“



განო მელითაური „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე „იურმალას“ გახსნას ეხმაურება.

– იურმალააა რა სამარცხვინოა!!!!))) ძაან ვერთობი! პათეტიკურობის, ფალშის სიყალბის ზეიმი)))))) მისასალმებელი სიტყვა იყო პ ი ზ დ ე ც!!!!!!!!))))))))) იმედია, ქართველი ბავშვი რამეს იზამს, წარმატებები მას... – წერს მელითაური.

*pia.ge*

## ნანუკა ჟორჟოლიანი: „მიშა და კახა გააჯაზებენ ბოლომდე“



ცნობილი ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი კულტურის სამინისტროში დაგეგმილ ცვლილებებს გამოეხმაურა. ტელეწამყვანი კულტურის მინისტრის ახალი კანდიდატურით მიშა გიორგაძით უკმაყოფილო არ არის, პირიქით, მასზე იმედებსაც ამყარებს.

აი, რას წერს ის „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე:

– კულტურის სამინისტროში დაგეგმილი ცვლილებები, სავარაუდოდ, აღარ დატოვებს ვაჟა მანიას დაუფინანსებელს, იმიტომ, რომ მიშასაც და კახასაც კარგად ესმით მანიას ფასი, დააფინანსებენ არა დანესტილ პროექტებს, არამედ გააჯაზებენ ბოლომდე:) არ დასჭირდებათ იმის ახსნა, რა ღირებულება აქვს, რასაც უშიკიშვილი აკეთებდა, ან იმის რომ ნიკა რაჭველი მოვლენაა და უნდა მოვუაროთ და არა პირიქით! სამინისტრო ნამდვილად კულტურული გახდება და სელფად არ აქცევენ კომუნისტურ საპირფარეშოს! მოკლედ, მაგარი ამბავია რა“!

*newposts.ge*

## ანრის შემდეგ კესარიასთან გადაღებული ფოტოს გამო სკანდალში კურტანა გაეხვია...



სოციალურ ქსელში კესარია აბრამიძისა და „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობ ლაშა კურტანიძესთან ერთად გადაღებული ფოტო გავრცელდა. ფოტო მსახიობს მეგობრებმა „ფეისბუკის“ გვერდზე გამოუქვეყნეს. ზოგიერთმა მისმა მეგობარმა ფოტო მოიწონა, ზოგი კი კითხვას სვამდა, რა ხდება თქვენს შორისო.

შეგახსენებთ, რომ მსახიობ ანრი ბიბინეიშვილს კესარიასთან გადაღებული ფოტო, ლამის კარიერის ფასად დაუჯდა.

კესარია:

– ფოტო შარშან ერთ-ერთ კლუბშია გადაღებული. ლაშა კურტანიძეს რეალურად არ ვიცნობ. კლუბის გარეთ არც მინახავს არასდროს... ლამაზი ვარ, კარგი ვარ და ალბათ, ვერ წარმოუდგენიათ, კაცი გულგრილად მიყურებდეს. კლუბში ჩემთან ერთად შეიძლება, ბევრმა გადაიღოს სურათი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან რაიმე ტიპის ურთიერთობა მომაწერონ.

*reitingi.ge*

## ანრი ჯოხაძე: „ცოცხების ტრ...ში გარჭობა არ დაგავიწყდეთ“



მომღერლის ხმაურიანი განცხადება სოციალურ ქსელში:

– გეძლვნებათ ელიტარული და ცოცხიანი, გუშინწინდელების „პადრუგებს“ – მოსმენისას ცოცხების ტრ...ში გარჭობა არ დაგავიწყდეთ... თემატურია!!! :))))))))))) – წერს „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე მომღერალი ანრი ჯოხაძე და ამ ე.წ. „პადრუგებს“ თავის ახალ სიმღერას „განა ყველა ქალი ქალია?!“ უძღვნის.

*newposts.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge




ექიმი მოხუცებულ პაციენტს ეკითხება:

– მითხარით, გეთაყვა, რამდენად ხანგრძლივია თქვენი სექსუალური აქტი?

– 2 საათი და 43 წუთი...

– მართლა?! თქვენი ასაკის მამაკაცისთვის ეს შესანიშნავი მაჩვენებელია! უფრო დეტალურად მომიყევით!

– ბოლო აქტისას 40 წუთი ველოდე, სანამ რეაქცია მექნებოდა, 3 წუთი თვითონ აქტი გაგრძელდა, 2 საათი კი უგონოდ ვეგდე...

*****

– მორჩა, ჩემი მოთმინება ამოიწურა – ქმარს უნდა გავშორდე!

– რატომ, თქვენ ხომ ძალიან უხდებით ერთმანეთს?

– რატომ და ჩემი უზნეო ქმარი დეტექტივს ყოველთვის პირველი კითხულობს და მკვლელის სახელს ყოველთვის პირველივე გვერდზე წერს ხოლმე!!!

*****



სასამართლო. საქმე ნარკოტიკების გავრცელების შესახებ. მოწმე – მეზობელი. ადვოკატი:

– გაძლევდათ თუ არა ექვმიტანილი ნარკოტიკებს?

– არა!

– და მეზობლის ცოლი თუ გაძლევდათ?

– უკაცრავად, ისევ ნარკოტიკებს გულისხმობთ?

*****

– კოტე, მანქანა რა უყავი?

– დავამტვრიე და ჯართში ჩავაბარე...

– სწრაფად მიდიოდი, არა?!

– არა! ცოლთან ერთად ვიყავი... ერთ ადგილას, გზის პირას ნახევრად შიშველი გოგო იდგა... ჩემმა შტერმა ცოლმა თვალებზე ხელი ამაფარა – არ დაიბნესო!..

*****

– დიდი ბოდიში, ქალბატონო ლამარა, ძალიან ვწუხვარ ჩემმა მამალმა თქვენი პოვიდვრები რომ დაკორტნა!

– უი, ის მამალი თქვენი იყო, ჩემმა ძაღლმა რომ შეჭამა?

– ააა, ის ძაღლი თქვენი იყო, მანქანით რომ გადავუარე?

*****

მამა-შვილის საუბარი რკინიგზის სადგურთან ახლოს:

შვილი:

– მამ, მართლა ამ მატარებლით უნდა ჩამოვიდეს ბებია?

მამა:

– ჰო, ჰო, მართლა! მიდი, დროზე მოუშვი ეგ ქანჩები, დროზე!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# კურიოზული ფაქტები სამედიცინო პრაქტიკიდან



როგორც ჩვენთან იტყვიან ხოლმე, ექიმებში სირბილი არავის იზიდავს, რაც სავსებით ბუნებრივიცაა, მაგრამ, მოგეხსენებათ, სამწუხაროდ, ყოველთვის ისე არ ხდება, ჩვენ რომ გაგვიხარდება და ხან რა შეგვაწუხებს ხოლმე, ხან – რა.

აქედან გამომდინარე, უმჯობესია, ისევ ექიმებთან მივიდეთ და მკურნალობის შესაბამისი კურსიც ჩავიტაროთ, თუ რა თქმა უნდა, ბედი გაგვიღიმებს და კომპეტენტური სპეციალისტი შეგვხვდება.

ასეც რომ არ მოხდეს, თეთრხალათიანებთან მისვლა ისეთ კურიოზულ სიტუაციებს მაინც აგვარიდებს თავიდან, რომლებზეც ქვემოთ უნდა გიამბოთ.

კერძოდ, ინტერნეტში ძრომიალისას გადავაწყდით რამდენიმე კურიოზულ ფაქტს, რომლებშიც ადამიანები თავიანთი დაუდევრობის გამო აღმოჩნდნენ.

– მაგალითად, ერთ პაციენტს, თურმე, ყოველ წამს კბილის პროთეზი ძვრებოდა და ამ უსიამოვნებისგან გასათავისუფლებლად, მან ღრძილებზე... სუპერწებო წაისვა. რა ბედი ეწია მას, სამწუხაროდ, აღარ კონკრეტდება, მაგრამ ვეჭვობთ, მცირედი შვება მაინც ეგრძნო.

– მეორე ადამიანმა, რომელსაც საშინელმა ფაღარათმა მთელის დღის განმავლობაში სული გაუმწარა, ერთი ადგილის „დასამშვიდებლად“... ძმარი გამოიყენა და უკანალში შეიზილა. მოვლენების განვითარების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია არც ამ შემთხვევაში ვრცელდება, მაგრამ დასკვნის გაკეთება, დაგვეთანხმებით, რთული ნამდვილად არ არის.



– მამაკაცი, რომლის წონა 200 კილოგრამზე მეტი ყოფილა, საზარდულში აუტანელ ტკივილებს შეუწუხებია. როცა ის გამოკვლევაზე ექიმთან მივიდა, სპეციალისტმა შემდეგი დიაგნოზი დაუსვა: ბუთქუნა პაციენტს სავარძელზე მოუხერხებლად დაჯდომისას საკუთარი... კვერცხები გაუსრესია.

– მიუხედავად იმისა, რომ ქმარმა შესანიშნავად იცოდა ცოლის არაკონტროლირებადი კონვულსიების შესახებ, მასთან სექსზე უარი მაინც არ თქვა და კინაღამ მამაკაცობა დაკარგა კიდეც. მოგეხსენებათ, კონვულსიური შეტევებისას ზოგიერთი კუნთი ძალიან დიდი ძალით იკუმშება და მოკლედ, ხომ ხვდებით, არა?..

– ერთმა მამაკაცმა წინადაცვეთის გაკეთება სხვისი დახმარების გარეშე გადაწყვიტა და ადგილობრივი ანესთეზიისთვის მშრალი ყინული გამოიყენა. როცა მოზრდილმა ყინულმა მას შეციების შეგრძნებები გაუჩინა, არც დაფიქრდა და საოხრე მაშინვე... მდუღარე წყალში კრა! (ვაი!)

– პაციენტმა, რომელიც ორივე ხელის ღია მოტეხილობით იტანჯებოდა, ტკივილების დასავიწყებლად... ონანიზმს მიმართა. მისდა სამწუხაროდ, ჭრილობები უფრო გაუმიზეზდა და დიდი ხნის განმავლობაში, ძლიერი გამაყუჩებლებიც ველარ შველოდა!



– შუახნის ქალმა, რომელიც თურმე, მუცლის არეში მწვავე ტკივილებმა დატანჯა, პრობლემის მოგვარება საღებავების დალევით სცადა. საცოდავი, ექიმებს ძლივს გადაურჩენიათ.

– ხელოვნური თვალის მქონე ახალგაზრდა ქალმა, რომელიც პაემანზე წასასვლელად ემზადებოდა, კავალერის წინაშე რომ არ შერცხვენილიყო, თვალი... საშოში დამალა... საგნის ამოღებაზე ექიმებმა რამდენიმე საათი იწვალეს.

– ერთმა უკიდურესად გარყვნილმა და ხელიდან წასულმა მამაკაცმა უკანალში პინგ-პონგის ბურთი შეირჭო. რამდენად ისიამოვნა ამ საზიზღრობით, გაგებაში არ ვართ, თუმცა ის კი ცნობილია, რომ სულ მალე მისი გამოღება ველარ მოახერხა – სრიალა ზედაპირის მქონე ბურთს მან ხელი ვერაფრით მოჰკიდა. ჰოდა, ადგა და ოყნა გაიკეთა, ოღონდ... ცემენტის, რათა უკანალში გაჩხერილი უცხო სხეულის ერთ ადგილზე დაფიქსირება გამოსვლოდა. საბოლოო ჯამში, საქმე იქამდე მივიდა, რომ ანუსიდან ბურთის და ცემენტის მოსაშორებლად, გამოცდილ ექიმებს ანესთეზიის გამოყენება დასჭირდათ.

– კლინიკაში შეშინებული ადამიანი მისულა და ექიმებისთვის ხმის კანკალით უთქვამს: „როცა ყურში თითს ვიყოფ, აღარაფერი მესმისო“...

– პაციენტი, რომელიც სამართალდამცველებმა ფსიქიატრიულ კლინიკაში მიიყვანეს, ექიმს დიდხანს არწმუნებდა, რომ ის საღად აზროვნებდა და არავითარი პრობლემები არ ჰქონდა. კითხვაზე, რატომ მიიყვანეს ის ფსიქიატრიულში, მან ასეთი პასუხი გასცა: „უბრალოდ, პოლიციელები ვერ მიხვდნენ, რომ მე ნამდვილი „მე“ ვიყავი. მათ ვერ დაადგინეს, რომ „ისინი“ ჩემი ასლები იყვნენ, რომლებიც „მათ“ კლონირების გზით მიიღეს. მე კაცობრიობის ერთადერთი ნატურალური წარმომადგენელი ვარ, „ისინი“ კი კლონები არიან“... პაციენტი ფსიქიატრიულიდან აღარავინ გაუშვა.

**medportal.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ახლად ნაყიდ ავტომობილში ამერიკელმა 200 ათასი დოლარი იპოვა!



მოგეხსენებათ, საქართველოში ამერიკიდან, იაპონიიდან და ასევე, სხვა ქვეყნებიდანაც ავტომობილების ჩამოყვანა საკმაოდ აპრობირებული მეთოდია, თუმცა ზოგი კმაყოფილი რჩება, ზოგს კი სამწუხაროდ, მოლოდინი არ უმართლდება. ამასთანავე, ყოფილა შემთხვევები, როცა საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილი მანქანების სალონებში ბევრს გარკვეული ოდენობის თანხა ან სამკაულები უპოვია, ზოგიერთის შენაძენი კი გაცილებით იღბლიანიც აღმოჩენილა.

სამწუხაროდ, შემთხვევა, რომელზეც ქვემოთ უნდა გიამბოთ, საქართველოში არ მომხდარა, მაგრამ ყურადღებას, ვფიქრობთ, მაინც იმსახურებს.

თურმე ნუ იტყვით და ჯორჯიას შტატის მკვიდრს, ვინმე ტაი კაიკენდალს დღემდე დაუდგენელი ადამიანისთვის ჯერ კიდევ 2009 წელს ჩამორთმეული ავტომობილი აუქციონის წესით 20013 წლის ბოლოს შეუძენია.

მოგვიანებით, ავტომობილს გარკვეული პრობლემები შეექმნა, რამაც კაიკენდალი ხელოსნებთან მიიყვანა, რომლებმაც უკანა სავარძლების მოხსნის დროს სამალავში... 200 ათასი აშშ დოლარი აღმოაჩინეს.

საბედნიეროდ, ამ პროცესს ტაი კაიკენდალიც ესწრებოდა, რომელმაც მომხდარი მაშინვე პოლიციას შეატყობინა.

როგორ განვითარდება მოვლენები და ვის დარჩება 200 ათასი, ჯერჯერობით უცნობია.

**autoportal.ru**

## რუმინელ ელექტრიკოსს დენის დარტყმაზე იმუნიტეტი გამოუმუშავდა



თუკი ადამიანი რამეს მიეჩვია, იმდენად „გლობალურად“ ეჩვევა, რომ წარმოუდგენელი იმუნიტეტის მფლობელიც კი ხდება.

სწორედ ასე მოხდა ერთი რუმინელი ელექტრიკოსის შემთხვევაშიც, რომელიც ამტკიცებს, რომ მას დენი იმ დროსაც კი არ ურტყამს, როცა ხელით შიშველ სადენებს ეხება.

51 წლის კონსტანტინ კრაიუ ქალაქ ბუზაუში ცხოვრობს და ცნობილია არა მხოლოდ როგორც შესანიშნავი სპეციალისტი, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც დენის წყაროში თითების შეყოფა შეუძლია.

ამ დროს, თურმე, კონსტანტინ კრაიუ მხოლოდ იმას გრძნობს, რომ თითები უთბება, რაც შეეხება ელექტროშოკს, მისთვის ეს გრძნობა საერთოდ უცნობია.

– წარსულში, როცა რკინიგზის სადგურში ვმუშაობდი, ერთ-ერთ სადგურზე გაყვანილობა იყო შესაკეთებელი. თანამშრომელს ვთხოვე, რომ ელექტრობა გაეთიშა და მეც მუშაობას მშვიდად შევუდექი. როცა ყველაფერს მოვრჩი, შეშინებული თანამშრომელი მომვარდა და ბოდიშების ხდა დამიწყო, რომ ელექტრობის გათიშვა დაავიწყდა. სწორედ მას შემდეგ აღმოვაჩინე, რომ დენი არ მირტყამს, – ამბობს რუმინელი ელექტრიკოსი, რომლის ფენომენსაც სპეციალისტები ვერაფრით ხსნიან.

**factroom.ru**

## ჩინელმა დახოცილი კოღოების გაყიდვის წარმატებული ონლაინ-ბიზნესი წამოიწყო



ზოგისთვის ბამბაც ჩხრიალებსო, ხომ გაგიგიათ?

ამ გამოთქმაში სიმართლის ძალიან დიდი დოზა რომ არის, ამას ერთი ჩინელი მამაკაცის მაგალითიც ადასტურებს, რომელმაც ცოტა ხნის წინ, ინტერნეტში დახოცილი კოღოების გაყიდვა დაიწყო და უდიდეს წარმატებასაც მიაღწია.

მისი თქმით, სულ რაღაც 2 დღეში, უკვე 10 ათასზე მეტი შეკვეთა მიიღო, რომლებსაც უახლოეს მომავალში დააკმაყოფილებს.

როგორც ირკვევა, კოღოების გაყიდვის იდეა შანხაის მკვიდრს, ვინმე ნინ ნანს მოუვიდა. მისი სარეკლამო სლოგანი კი ასე ჟღერს:

– მოკლულია ხელით. შეიძლება მისი გამოყენება კვლევებისთვის და ასევე, დეკორაციისთვის და კერძო კოლექციებისთვის.

ამ ზამთარში რა ვუთხრათ, ნინ ნანს, მაგრამ ზაფხულში კოღოების დასახოცად მას ფოთში ვეპატიჟებით, სადაც ისეთ ზომებს აღწევენ ეს აბეზარი მწერები, უპილოტო თვითმფრინავი გეგონებათ.

**etotupo.ru**

## საინტერესო გამოთვლა დედამიწის მოსახლეობის შესახებ



თუკი ჩვენს წარმოსახვაში დედამიწის ზომებს მნიშვნელოვნად შევამცირებთ – მას როგორც 100 ადამიანით დასახლებულ პატარა სოფელს, ისე წარმოვიდგენთ და მის რეალურ პროპორციებს გავითვალისწინებთ, აი, ასეთი სურათის მოწმეები გავხდებით:

75 ადამიანი აზიატი იქნებოდა, 21 – ევროპელი, 14 – ამერიკელი, 8 კი – აფრიკელი. აქედან 52 – სუსტი სქესის, 48 კი ძლიერი სქესის წარმომადგენელი იქნებოდა.

გარდა ამისა, გეტყვით იმასაც, რომ 70 ადამიანი შავკანიანი დაიბადებოდა, 30 კი – თეთრკანიანი.

სამწუხაროდ, გვერდს ვერ ავუვლიდით ჰომოსექსუალისტებსაც. კერძოდ, 100 ადამიანიდან 89 ნორმალური ორიენტაციის იქნებოდა, 11 კი – ცისფერი და ვარდისფერი.

100-დან 6 ადამიანი დაეპატრონებოდა სოფლის სიმდიდრის 59 პროცენტს.

80 ადამიანს არ ექნებოდა ცხოვრებისთვის აუცილებელი ნორმალური პირობები. 70-ის განათლება საშუალოზე დაბალ საფეხურზე აღმოჩნდებოდა, უმაღლესი განათლება კი, მხოლოდ და მხოლოდ, 1 ადამიანს ექნებოდა მიღებული. 2 დაიბადებოდა, ხოლო 1 მოკვდებოდა.

**factroom.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03




1. მსახიობი მარჩელო ...
2. მსახიობი ვივიენ ...
3. მისი დედაქალაქია ლისაბონი
4. ინდური ეპოსი: თქმულება რამაზე, ანუ „...“
5. კერძების „შეფი“
6. ჯანი, ღონე
7. მიკროსქემის დეტალი
8. შენობა ტელესკოპით
9. მღრღნელი, რომელიც მდინარეზე კაშხალს აგებს
10. ჩეხეთის გმირი ... ჰუსი
11. ფასდაკლება, ანუ ...
12. მუსლიმანური მარხვა
13. არქიმედეს შეძახილი აბაზანაში
14. აბზინდის არაყი
15. რომანის ერთი ნაწილი
16. ჰიტლერი როგორც ბელადი
17. მამალი კვიცი
18. პატარა სკივრი
19. მზის ამოსვლა
20. ბავშვის კბილი
21. წარწერა კადრის ქვეშ
22. ხეობა შიდა ქართლში
23. ნიჩბებიანი ტრანსპორტი
24. მდინარე აფხაზეთში
25. ფრინველის სამწყვდევი
26. მოწონების შეძახილი თეატრში
27. პიკასოს ნახატი ომის თემაზე
28. ებრაელების იმიგრაცია ისრაელში
29. ფორდი და ორმონდი ფილმში
30. ... შანელი
31. „მაგდანას ლურჯა“ ავტორი
32. თემურ ჩხეიძე ფილმში „... მდივანი“
33. მდინარე დას. საქართ.
34. იტალიელი ფერმწერი
35. ქალაქი პოლონეთში
36. ... შრომა, მერე ხტომა
37. კრივის ერთი პერიოდი
38. ერთგვარი ბორანი
39. სხეულის დაწვა, ანუ ...
40. ზოდიაქოს ნიშანი
41. დიდი კოვზი
42. ინგლისელი პოეტი
43. კენიის დედაქალაქი
44. იალქანი
45. ბოკაჩოს ნაწარმოები
46. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
47. ვიქტორ ჰიუგოს რომანის კუზიანი პერსონაჟი, რომლის სახელიც „ვითომ ადამიანს“ ნიშნავს
48. მსახიობი ... რობერტსი
49. ბოლშევიკი და ...
50. ყავის ჯიში
51. კარლო გოლდონი. „ორი ბატონის ...“
52. მტრის ჯარი ქალაქის ირგვლივ
53. ნაჭერი, ქსოვილი, ანუ ...
54. მსახიობი ... ბროდერეკი
55. მუსიკალური გასართობი
56. მწერალი ემილ ...
57. ჭრილობა
58. ზღვის კომბოსტო
59. მყარი წიაღისეული ზოგადად
60. ძალიან ტკბილი ნივთიერება
61. ოსური ცეკვა
62. ქართ. სუფრის წინამძღოლი
63. მსახ. ... ფედოსეევა-შუკშინა
64. იაფის საპირისპირო
65. ლეილა აბაშიძის კინოროლი
66. კომბლეს „ჭრელა“
67. ნაცია
68. მოცარტის მოქიშპე კომპოზიტორი
69. ქალაქი აშშ-ში
70. კარტოფილის კერძი
71. პოლიტიკოსი ... ბალათურია
72. ქრისტიანთა წმინდა თასი
73. მკერდის კორექციის მასალა
74. დედამიწის ზედაპირი გეოგრაფიულად
75. ქედი საქართველოს საზღვარზე
76. მასობრივი გადარჩენა
77. ტროპიკული ნაყოფი
78. რუსი მხატვარი ვალენტინ ...
79. ცხენებშებმული ტრანსპორტი
80. აივენჰოს სატრფო
81. მისი დედაქალაქია ტოკიო
82. პოეზიის ჟანრი
83. ქართ. სადაზღვევო ფირმა
84. ბრონტე. „ჯეინ ...“
85. ღრიანკალი
86. სიმინდი აცტეკურად
87. რეჟისორი ... ტარანტინო
88. 100კგ
89. სიმინდის გამხმარი ღერო
90. ვაზის ხეივანი
91. ზადი, ხინჯი
92. მწყემსის მოსასხამი
93. ადამიანის ფორმის თოჯინა ვიტრინაში
94. მოდელიერი ... ასათიანი
95. გოგრა
96. წიწვოვანი ხის ჯიში
97. მსახიობის შემცვლელი ტრიუკებში
98. პოლიტიკოსი ადა ...
99. ოპერა „პერ გიუნტი“ კომპოზიტორი
100. ღირებულება
101. პიანისტი ... რიხტერი
102. ცოლი ინდიელის ენაზე
103. ქალაქი ქვემო ქართლში
104. რითი მოკლა დავითმა გოლიათი
105. თეთრი ვეშაპი: ... დიკი
106. კურტ კობეინის ანსამბ-ლი
107. იუმორისტი ... კვირიკაშვილი
108. მსახიობი მარლონ ...
109. ... მოგივა დავითაო
110. რეჟისორი ელდარ ...
111. სიცხე, ხვატი
112. ოჯახის ერთადერთი შვილი
113. ... პოპესკუ გოპო
114. ახალი ... კარგად გვის
115. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
116. მხ/ფ „აკაკის ...“
117. წერის თავისებური მანერა
118. ათოსის ვაჟი (სახელი)
119. სათვალე დასაკეცი ყურით
120. პერგამენტი, ანუ ...
121. სახელმწიფო აფრიკაში
122. რძის პროდუქტი
123. სამატომიანი ჟანგბადი
124. ხის ნორჩი ტოტები
125. უჯრედშორისი სითხე
126. მხ/ფ „ორერა ... სვლით“
127. ქსეროპირი
128. კომში
129. მწუხა სახის რაინდი-... კიხოტ ლამანჩელი
130. მსახიობი ... ელიავა
131. ყველაზე მაღალი ჩამჩქერი
132. მადონა ფილმში
133. შექსპირი. „მეფე ...“
134. ველური ცხენი
135. მუწუკი, ანუ ...
136. ... დე მოპასანი
137. ჩვილი ბავშვი, ანუ ...
138. რეჟისორი ჯონ ...
139. ფრანგ. ხურდა ფული
140. დახურულის საპირისპირო
141. ... მურომეცი
142. ბედი
143. „კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ...“
144. კათოლიკ. ეკლესიის მღვდელი
145. ეკალივით წვეტიანი ახანეთქი
146. ქედი რუსეთში
147. ჰომეროსის პოემა
148. ... უდუმაშვილი

პასუხები: 1. მასტროიანი; 2. ლი; 3. პორტუგალია; 4. „რამაიანა“; 5. მზარეული; 6. ენერგია; 7. ტრანზისტორი; 8. ობსერვატორია; 9. თახვი; 10. იან; 11. სეილი; 12. რამაზანი; 13. ევრიკა; 14. აბსენთი; 15. თავი; 16. ფიურერი; 17. ურა; 18. ზარდახშა; 19. აისი; 20. კიჭი; 21. ტიტრი; 22. რკონი; 23. ნავი; 24. ენგური; 25. გალია; 26. ბის; 27. „გერნიკა“; 28. ალია; 29. „საბრინა“; 30. კოკო; 31. გაბაშვილი; 32. რაიკომის; 33. ცხენისწყალი; 34. რაფაელი; 35. ლოძი; 36. ჯერ; 37. რაუნდი; 38. როროს; 39. კრემაცია; 40. ვერძი; 41. ჩამჩა; 42. ბაირონი; 43. ნაირობი; 44. აფრა; 45. „დეკამერონი“; 46. სერ; 47. კვაზიმოდო; 48. ერიკ; 49. მენშევიკი; 50. მოკო; 51. მსახური; 52. ალყა; 53. ფართალი; 54. მეთიუ; 55. კარაოკე; 56. ზოლა; 57. იარა; 58. ლამინარია; 59. მადანი; 60. ქსილიტი; 61. „სიმდი“; 62. თამადა; 63. ლიდია; 64. ძვირი; 65. ძიძია; 66. ძროხა; 67. ერი; 68. სალიერი; 69. სიეტლი; 70. პიურე; 71. ჯონდი; 72. გრაალი; 73. სილიკონი; 74. რელიეფი; 75. კავკასიონი; 76. კროსი; 77. ბანანი; 78. სეროვი; 79. ეტლი; 80. როენა; 81. იაპონია; 82. ლირიკა; 83. „ალდაგი“; 84. ეარი; 85. მორიელი; 86. მაისა; 87. კვენტინ; 88. ცენტნერი; 89. ჩალა; 90. ტალავერი; 91. ნაკლი; 92. ნაბადი; 93. მანეკენი; 94. მაკა; 95. კვახი; 96. კედარი; 97. კასკადიორი; 98. მარშანია; 99. გრიგი; 100. ფასი; 101. სვიატოსლავ; 102. სკვო; 103. გარდაბანი; 104. შურდული; 105. მობი; 106. „ნირვანა“; 107. მზია; 108. ბრანდო; 109. რაც; 110. რიაზანოვი; 111. ალმური; 112. დედისერთა; 113. იონ; 114. ცოცხი; 115. ესე; 116. აკვანი; 117. სტილი; 118. რაული; 119. ლორნეტი; 120. ეტრატი; 121. ნიგერია; 122. დო; 123. ოზონი; 124. ნეკერი; 125. ლიმფა; 126. სრული; 127. ასლი; 128. ბია; 129. დონ; 130. ლია; 131. ანხელი; 132. „ევიტა“; 133. ლირი; 134. მუსტანგი; 135. ბუგრი; 136. გი; 137. ალუა; 138. ვუ; 139. სუ; 140. ღია; 141. ილია; 142. სვე; 143. ლიტერატურა; 144. კიურე; 145. ხიწვი; 146. ურალი; 147. „ილიადა“; 148. ზაალ. იკითხება: არნოლდ შვარცენეგერი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. ბიბლიური ბრძენი მეფე
2. რუსული ხის თოჯინები
3. კომპოზიტორი არამ ...
4. მხატვარი ანრი-ტულუზ ...
5. „როგორ მოიპარა ... შობა“
6. დისნეის ქალთევზა
7. მდინარე დას. საქართ.
8. სახელმწიფო ევროპაში
9. სახელმწ. ... და ტობაგო
10. მსახიობი პიერ ...
11. ოდრი ტოტუ ფილმში
12. ძაფის დასართავი წირი
13. დიდი ჩაქუჩი
14. ვირის ნაშიერი
15. მსახიობი ... კეიტელი
16. ქალაქი სამეგრელოში
17. „ანჟელიკა ... მარკიზა“
18. დაბა ოზურგეთ. რაიონში
19. ხრიკი
20. იუდა ...
21. თვითმფრინავის გამცილებელი
22. ზღვის კომბოსტო
23. პარკოსანი მცენარე
24. ნორვეგიის დედაქალაქი
25. მრგვალი თონის პური
26. მხ/ფ „... სახლში“
27. იაპონური ჭიდაობა
28. არნოლდ ...
29. შვეულმფრენი
30. სასწავლო დაწესებულება
31. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
32. ბელგიის დედაქალაქი
33. სასიმინდე
34. ორგანული სასუქი
35. უბედურების მაუწყებ. სიგნალი
36. ყვავილი
37. ფინეთი, ანუ ...
38. პრეზიდენტი ბარაკ ...
39. ბულგარელი ნათელმხილველი
40. ძმებ ვაჩოვსკების ფილმი
41. ნიშნავს საშუალოს
42. კიპლინგის მოთხრობა
43. ურემი ... გადაბრუნდება
44. ოტელოს სატრფო
45. დიდი სარეკლამო დაფა
46. სიო
47. ლენონის ქვრივი
48. დაწვეს: ჯორდანო ...
49. უკანონოდ მონადირე
50. მსახიობი ... ჭიჭინაძე
51. მსახიობი ... ასანტე
52. მხ/ფ „... შემოდგომისა“
53. „კაცი, რომელიც იცინის“ პერსონაჟი
54. კოლხი გრძნეული ქალი
55. მსახიობი ... ლანკასტერი
56. ებრაული სალოცავი
57. ქალაქი კრასნოდარის მხარეში
58. ბენიტო მუსოლინი, იგივე ...
59. საველე საავადმყოფო
60. გასაღები
61. მსახიობი ანტონიო ...
62. ნარდის სათამაშო კუბები
63. მოწნული ჭურჭელი
64. „მუმუ“ პერსონაჟი
65. თეფში
66. მსახ. ... გოძიაშვილი
67. მწერალი ... იაშვილი
68. კოსმოდრომი ყაზახეთში
69. მწერალი ლიონ ...
70. მუსლიმანური მარხვა
71. ლუდის მასალა
72. კინოხელოვნება
73. გადაბრუნებ. ასო დელტა
74. ქვის სამარხი
75. მეცნიერება დედამიწის აგებულებაზე
76. ჩანჩქერი აშშ-ში
77. ერთკუზიანი აქლემი
78. უქონრო თუთიყუში
79. ძვირფასი ქვა
80. მსახიობი რობერტ დე ...
81. აღდგომა და ...
82. მსახიობი ... რუსო
83. კუნძული იაპონიაში
84. წყლის სამგზავრო ჭურჭელი
85. პიანისტი ... ბოლქვაძე
86. მომავლის რწმენა
87. მსახიობი ედიშერ ...
88. მომღერალი დაიანა ...
89. ფიტნესის მასწავლებელი
90. ტუჩის ფერადი საცხი
91. ფოლაქი
92. ტენორი ... ლანცა
93. სალექსო ფორმა. შეიცავს 14 ტაეპს
94. ძვ. ქართ. ცხენოსნობა
95. მწერი
96. სამიანი ნარდში
97. გასეირნება ქალაქგარეთ
98. ... დასთეს იმას მოიმკი
99. ოსური ცეკვა
100. ლორის ცხვირი
101. ევროპის ყველა მაღალი მწვერვალი
102. ისრაელის ფულის ერთეული
103. იოლი, ანუ ...
104. ხორბლის გასალეწი მოედანი
105. დროშა
106. მსახიობი ... მონტანი
107. მხ/ფ „... მოვიპაროთ მილიონი“
108. ... შეიქმს სიყვარულსა
109. ყურძნის სასხლავი მაკრატელი
110. მსახიობი ... სტრიპი
111. მხ/ფ „... ბიჭები“
112. ჩეხური ავტომობილი
113. სახის ნაწილი
114. სისხლის მიმოქცევის ორგანო
115. ვირის ხასიათი
116. ყვავილი
117. ზღვის მოლუსკი
118. იაპონური მინიატ. ქანდაკება
119. ებრაული ენა
120. ვულკანური მასა
121. დიდი ქვა
122. თვალის ფერადი გარსის ანთება
123. სახლის გადასახურავი ბალახი
124. მტაცებელი ცხოველი სავანაში
125. საკანი
126. ბილიარდის ჯოხი
127. სახოტბო ლექსი
128. შხამიანი გველი
129. გაფუჭებული კვერცხი
130. მოკლე კაბა
131. მსახიობი ანუკ ...
132. სოფელი რაჭაში
133. ერთგვარი კანფეტი
134. შექსპირი. „მეფე ...
135. რაში უყრიან ძაფს
136. უძველესი კოლხეთი
137. „... ჭკუისაგან“
138. კაბის გრძელი ბოლო
139. ბედი
140. ავსტრალიის მკვიდრი მოსახლე

პასუხები: 1. სოლომონი; 2. მატრიოშკა; 3. ხაჩატურიანი; 4. ლოტრეკი; 5. გრინჩმა; 6. არიელი; 7. რიონი; 8. ნიდერლანდი; 9. ტრინიდადი; 10. რიშარი; 11. „ამელი“; 12. თითისტარი; 13. ურო; 14. ჩოჩორი; 15. ჰარვი; 16. აბაშა; 17. ანგელოზების; 18. ლაითური; 19. ოინი; 20. ისკარიოტელი; 21. სტიუარდესა; 22. ლამინარია; 23. ბარდა; 24. ოსლო; 25. ლავაში; 26. მარტო; 27. სუმო; 28. შვარცენეგერი; 29. ვერტმფრენი; 30. ლიცეუმი; 31. არგენტინა; 32. ბრიუსელი; 33. ნალია; 34. კომპოსტი; 35. სოს; 36. მიმოზა; 37. სუომი; 38. ობამა; 39. ვანგა; 40. „მატრიცა“; 41. მეცო; 42. „მაუგლი“; 43. რომ; 44. დეზდემონა; 45. ბანერი; 46. ნიავი; 47. ონო; 48. ბრუნო; 49. ბრაკონიერი; 50. დოდო; 51. არმან; 52. მზე; 53. დეა; 54. მედეა; 55. ბერტ; 56. სინაგოგა; 57. ანა; 58. დუჩე; 59. ლაზარეთი; 60. კლიტე; 61. ბანდერასი; 62. კამათელი; 63. გოდორი; 64. გერასიმე; 65. საინი; 66. ვასო; 67. პაოლო; 68. ბაიკონური; 69. ფოიხტვანგერი; 70. რამაზანი; 71. ალაო; 72. კინემატოგრაფი; 73. ნაბლა; 74. აკლდამა; 75. გეოლოგია; 76. ნიაგარა; 77. დრომადერი; 78. არა; 79. ფირუზი; 80. ნირო; 81. ხვალეო; 82. რენე; 83. ოკინავა; 84. მათარა; 85. ელისო; 86. იმედა; 87. მაღალაშვილი; 88. როსი; 89. ინსტრუქტორი; 90. პომადა; 91. ღილი; 92. მარიო; 93. სონეტი; 94. ისინდი; 95. ობობა; 96. სე; 97. პიკნიკი; 98. რასაც; 99. სიმდი; 100. დინგი; 101. იალბუზი; 102. შეკელი; 103. ადვილი; 104. კალო; 105. ბაირაღი; 106. ივ; 107. როგორ; 108. შიში; 109. სეკატორი; 110. მერილ; 111. ღიმილის; 112. „შკოდა“; 113. ყბა; 114. გული; 115. ჯიუტი; 116. ვარდი; 117. მიდია; 118. ნეცკე; 119. იდიში; 120. ლავა; 121. ლოდი; 122. ირიტი; 123. ისლი; 124. ლომი; 125. დილეგი; 126. კიი; 127. ოდა; 128. ეფა; 129. ლაყე; 130. მინი; 131. ემე; 132. ირი; 133. ირისი; 134. ლირი; 135. ნემსი; 136. აია; 137. ვაი; 138. შლეიფი; 139. სვე; 140. აბორიგენი. იკითხება: ოდრი ჰეპბერნი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## როგორ წარმოითქმის „მიყვარხარ“ სხვადასხვა ენაზე



დაგვეთანხმებით, არ არსებობს იმაზე უფრო სასიამოვნო რამ, რასაც საყვარელი ადამიანისგან მოსმენილი ფრაზა „მიყვარხარ“ ჰქვია.

მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ეს ფრაზა მუდმივად ისმის, რითიც ადამიანები ერთმანეთს სითბოსა და სიხარულს ანიჭებენ.

„მიყვარხარ“ – მილიონობით ადამიანის საყვარელი და საოცნებო სიტყვაა და დიდი იმედი გვაქვს, რომ ამ მხრივ თქვენც განებივრებული ხართ.

აი, როგორ წარმოითქმის „მიყვარხარ“ სხვადასხვა ენაზე:

არაბულად – ანა აჰებეკ; ალბანურად – უნე დუა ტი;
ინგლისურად – აი ლავ იუ; სომხურად – ეს ქეს სირუმემ;
ავღანურად – მა დი კაველ მინა; ბაშკირულად – მინ ჰინე იარატაუ;
ბულგარულად – აზ ტი ობიჩამ; უნგრულად – სერეტლეკ;
ვიეტნამურად – ემ იეუ ან, ან იეუ ემ; ბერძნულად – ს'აღაპო;
დანიურად – იეგ ელსკერ დიტ; ივრითზე – ანი ოჰევეტ ოტჰა;
ინდონეზიურად – საია მენტინტა კოუ; იტალიურად – იო ტე ამო;
ყაზახურად – მენ სენი ჟარატამ; ყირგიზულად – მენ სენი სუიუ;
კორეულად – გიმნან გიჩი ლნუ ლნიკ; ჩინურად – ვო აი ნი;
ლატვიურად – ეს ტევი მილუ; ლათინურად – ეგო ტუ ამარე;
ლიტვურად – აშ ტავეს მილიუ; მაკედონიურად – იას ტებე საქამ;
მალაიზიურად – აკუ კუნტა კაპადა ავაკ; მოლდავურად – ტ'იუბესკ;
მონღოლურად – ბი ტანდ ჰაიტაი; გერმანულად – იჰ ლიბე დიჰ;
ნორვეგიულად – ეგ დეგ ელსკი; სპარსულად – მან ტო ეისჩ;
პორტუგალიურად – ა მო ტე; პოლონურად – ია ცენ კოჰამ;
სერბულ-ხორვატიულად – ია ტუ ვოლეტი; სლოვაკურად – მამ ტია რად;
ტაჯიკურად – მან ტულ ნოჰს მეტინამ; თურქულად – ბენ სანა სევიიორუმ;
უზბეკურად – მენ სენი სევემ; უკრაინულად – ია ტებე კოხაიუ;
ფინურად – რაკასტან სინუა; ფრანგულად – ჟე ტემ;
ინდურად – მეი ტუმსეი პიარ კარტა ჰუმ; ჩეხურად – მამ ტე რად;
ესპერანტოზე – მი ამას სინ; იაპონურად – ანატა ვა დაი სკუ დეს...

თავადაც დარწმუნდებოდით, რომ ზოგიერთ ენაზე ეს ჯადოსნური ფრაზა ქართველებისთვის საკმაოდ უცნაურად ჟღერს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ძალიან საჭირო სიტყვებს ნებისმიერ შემთხვევაში ერთი და იგივე ეფექტი მოჰყვება. თქვენც ხშირად უთხარით ერთმანეთს „მიყვარხარ“ და გაილამაზეთ სირთულეებით ისედაც საკმაოდ დახუნძლული ცხოვრება.

*factroom.ru*

## თუკი სვამთ, ბარემ რეგულარულად უნდა სვათ!



დანიელ სწავლულებს თუ დავუჯერებთ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გაჩენის მიზეზი რეალურად, მისი არარეგულარულად მიღება უფროა, ვიდრე სმა, მაგრამ ძალიან იშვიათად.

დაუჯერებლად ჟღერს, გეთანხმებით, მაგრამ მეცნიერები ასე ამბობენ და...

– თუკი სპირტიან სასმელს სისტემატურად, მაგრამ მცირე დოზებით მიიღებთ, – განმარტავენ ისინი, – ასეთ შემთხვევაში, ორგანიზმი ხიფათს გადაურჩება.

ამ მოსაზრების დასამტკიცებლად, მკვლევარებმა ფრანგებისა და ინგლისელების მიერ სპირტიანი სასმელების მოხმარების პერიოდულობა შეისწავლეს.

ფრანგების შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ისინი უფრო დიდხანს ცოცხლობენ, რადგან ალკოჰოლს ხშირად, მაგრამ მცირე რაოდენობით იღებენ, ინგლისელები კი შუა კვირაში სასმელს თითქმის არ ეტანებიან, დასვენების დღეებში დანაკლისს დიდი მონდომებით ივსებენ.

– სწორედ ამიტომაა, რომ საშუალო ფრანგის სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალო ინგლისელისაზე მნიშვნელოვნად მაღალია, – ამტკიცებენ დანიელი მეცნიერები.

სიმართლე გითხრათ, დანიელების ამ მოსაზრების მართებულობაზე თავს ნამდვილად ვერ დავდებთ. ამდენად, ღირს თუ არა მისი შემოწმება, თავად გადაწყვიტეთ.

*myjane.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**24 ივლისი:** მთავარია, რამე მოისურვოთ, თორემ ძალა და შესაძლებლობები საკმაოდ გექნებათ. ეს დღე ტყუილად არ დაკარგოთ, კარგი შანსები გაქვთ.

**კურო 22.04-21.05**
**24 ივლისი:** შეიძლება ვიღაცასთან თქვენმა კავშირმა აზრი დაკარგა. დროა ახალი მოკავშირე და პარტნიორი ეძებოთ. რაც მალე მიიღებთ გადაწყვეტილებას, მით უკეთესი იქნება.

**ტყუპები 22.05-21.06**
**24 ივლისი:** შეიძლება დღეს გაიცნოთ ადამიანი, რომელიც თქვენი კარგი მეგობარი გახდება. თუმცა, თუ სახლიდან არ გახვალთ, ამის შანსი ნულის ტოლი იქნება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**24 ივლისი:** უსაზღვრო ენერგეტიკული რესურსი გექნებათ. თუ მის მობილიზებას შეძლებთ, უამრავ საქმეს მოასწრებთ.

**ლომი 23.07-22.08**
**24 ივლისი:** ზედმეტები არ ილაპარაკოთ. შეიძლება ისეთი რამე წამოგცდეთ, რასაც არაკეთილმოსურნეები თქვენს წინააღმდეგ გამოიყენებენ.

**ქალწული 23.08-22.09**
**24 ივლისი:** შეგიძლიათ, ჭამა-სმას მიჰყოთ ხელი. გაინებივრეთ თავი, თუკი ამის სურვილი გაგიჩნდებათ. თქვენ ეს დაიმსახურეთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**24 ივლისი:** ცხოვრებაზე წუწუნს ნუ მოჰყვებით. მიმოიხედეთ, კარგიც ბევრი ხდება და თქვენც მალე გაგიმართლებთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**24 ივლისი:** ემოციებს არ აჰყვეთ, თორემ შეიძლება დაკარგეთ რაღაც კარგი, რის შესახებაც შეიძლება ჯერ არ იცოდეთ. სანამ რამეს იტყოდეთ, დაფიქრდით, გჭირდებათ ასეთი განტვირთვა?

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**24 ივლისი:** სტუმართმოყვარე სახლის გულღია მასპინძელი იქნებით. რომც არავინ დაპატიჟოთ, ვიღაცა თავისით გესტუმრებათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**24 ივლისი:** შეიძლება შურიანობასთან მიმსგავსებული გრძნობა დაგეუფლოთ. თუ თქვენს გარემოცვაში ვინმე წარმატებას მიაღწევს, ყურადღებას ნუ მიაქცევთ, რაკი მისი წარმატება არ გაგიხარდებათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**24 ივლისი:** ყველაზე უკეთესი, რაც დღეს შეგიძლიათ გააკეთოთ, ლოდინი და ძალების დაზოგვაა. ნებისმიერი ინიციატივის გამოჩენა ფუჭი აღმოჩნდება.

**თევზები 19.02-20.03**
**24 ივლისი:** თქვენში ორატორის ნიჭი გაიღვიძებს. ნებისმიერს დაარწმუნებთ იმაში, რაშიც გინდათ.

## ჩაძირულმა რესტორანმა ჩინელების დიდი მოწონება დაიმსახურა



როგორც ჩანს, ქეიფის დროს განსაკუთრებული კომფორტი მხოლოდ ქართველების მიდრეკილება ყოფილა, აი, რაც შეეხებათ ჩინელებს, ისინი კი სმა-ჭამას წყალში ფეხებჩაყოფილებიც შესანიშნავად ახერხებენ და რაც მთავარია, ამით ძალიანაც კმაყოფილები არიან.

როგორც ირკვევა, წყალდიდობის შემდეგ, ეს უჩვეულო რესტორანი ქალაქ ჩუნცინის ნამდვილ ღირსშესანიშნაობად იქცა, სადაც მოხვედრა მხოლოდ მაგიდის წინასწარი შეკვეთითაა შესაძლებელი.

რესტორნის მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ მისი იატაკი წყლითაა დაფარული, სტუმრებს კი ფეხები კოჭებამდე უსველდებათ.

თურმე, რამდენიმე ხნის წინ, ძლიერ წვიმას რესტორნის სახურავი დაუზიანებია, მფლობელს კი მისი დახურვა გადაუწყვეტია, თუმცა ახალმა „ჩაძირულმა“ იმიჯმა ყველაფერი რადიკალურად შეცვალა და „საზკვების ობიექტს“ უამრავი კლიენტი შესძინა.

რატომ მოსწონთ ჩინელებს ფეხების დასველება და თან ასე ქეიფი? აბა, ჩვენ რა ვიცით?

*mainfun.ru*

## ჩინურმა კატამ თაგვი „იშვილა“



ასე ამბობენ, ადამიანი ერთადერთი გონიერი არსებაა დედამიწის ზურგზე, რომელსაც აზროვნება შეუძლიაო, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილება კი აშკარად საწინააღმდეგოზე მეტყველებს.

რატომ ვფიქრობთ ასე? ახლავე გიპასუხებთ: ფაქტობრივად, არც ერთ ადამიანს არ შეუძლია მტერთან ურთიერთობის აღდგენა, „არა მოაზროვნე“ ცხოველები კი პირიქით, ისეთ რამეებს აკეთებენ, დაჯერებაც რომ რთულია.

მაგალითისთვის ერთი ჩინური კატაც კმარა, რომელსაც თურმე, თავის ოთხ კნუტთან ერთად... თაგვის აღზრდაც დაუწყია.

კატის პატრონის, სუნ შუიუნის ინფორმაციით, საყვარელ შინაურ ცხოველს პირის ჩასატკბარუნებლად მან თაგვი მიუყვანა, თუმცა მოხდა საოცრება და კატამ საჩუქრად მიღებული მღრღნელი არ შეჭამა. მეტიც, მასზე ზრუნვა დაიწყო და საკუთარი რძითაც კი გამოკვება.

ამ დროისთვის, თაგვი კვლავ კნუტებთან ერთად ცხოვრობს და „დედობილის“ რძითაც ნაყრდება.

*vesti.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მასწავლებელი დიდხანს ესაუბრა მოსწავლეებს ადამიანის ცხოვრებაზე, მის მიზნებსა და მისწრაფებებზე, ბოლოს კი კითხვა დასვა:

– ბავშვებო, რას ისურვებდით, ხალხს თქვენს დაკრძალვაზე რომ ეთქვა?

ნოდარი:

– მე ვისურვებდი, რომ ადამიანებს ესაუბრათ იმაზე, როგორი შესანიშნავი ექიმი ვიყავი, რამდენი ადამიანი გადავარჩინე და რამდენი ბავშვი განვკურნე...

– ყოჩაღ, ნოდარ! შენ რას იტყვი, ნინიკო?

– მე მინდა, რომ ხალხმა თქვას, როგორი ბრწყინვალე მეუღლე, დედა და ბებია ვიყავი...

– ყოჩაღ, კარგი გოგო ხარ! აბა, კოტე, რის გაგონებას ისურვებდი შენს დაკრძალვაზე?

– შეხედეთ, სუნთქავს!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
» 211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 05.20